Музей Грузии

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და [illegible]
[illegible]
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-დღეებისა 9-დან 10 საათამდე
ტელეფონი { 14—76 რედაქტორის. 10—58. მდივნის

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—59

ხელის მოწერის ფასი: [illegible] მოსამსახურეებისათვის 65 კ. დაწესებულებისათვის [illegible] 85 კაპ. [illegible] 20 კაპ. [illegible] სტრიქონი. [illegible] განცხადებები 5 მანეთი. განცხადებები [illegible] ნომერში მიიღება მხოლოდ 7 საათ[illegible]

№ 124 (979) კვირა, 1 ივნისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 124 (979)

დღიური

[illegible] პროფკავშირების კონგრესი.

იასში (რუმინეთი) ფაშისტებმა კიდევ მოაწყვეს ებრაელთა დარბევა.

პოლონეთი აწარმოებს კამპანიას ლიტვის წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთში [illegible]

ამხ. ხიმაშვილი დაათვალიერებს ამიერ-კავკასიის კურორტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალოვის სახელობის) დანიშნულია

თბილისის საბჭოს სხდომა

დღის წესრიგი:

1) წინა-ვაჭრობის მოწესრიგების საკითხი თბილისში და მის მაზრაში ამხ. ხ. ჯუღელი.
2) სრ. კავშირის მუშაობის შესახებ მომხსენებელი ამხ. ა. [illegible].
3) მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

1182 2—2 პრეზიდიუმი

ვის ემსახურებიან მენშევიკები

მათ კარგი ხანია წამოაყენეს რუსეთში კაპიტალისტური რესტავრაციის (აღდგენის) პროგრამა. მთელი მათი გეგმები რუსეთის რევოლუციაში არასოდეს არ სცილდებოდა ბურჟუაზიული ინტერესების ფარგლებს. ასეთი იყო მათი პოზიციების ხაზი როგორც პირველ (1905), ისე მეორე (1917) რევოლუციის ხანაში, ამასვე იმეორებენ ისინი ოქტომბერში და იმეორებენ დღესაც „დაბრუნდით უკან" („Назад"! ამ სათაურით [illegible] მენშევიკების ორგანო „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ" დანის წერილს)—აი მათი ლოზუნგი, ამას ურჩევენ მენშევიკები რუსეთის პროლეტარიატს, რომელიც კარგი ხანია განთავისუფლდა ამ არა მკაცრი „ხელმძღვანელების" გავლენისაგან. მაგრამ თუ ისინი ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ რუსეთის მუშათა კლასზე, რომელმაც იცის „რა ეკითხოს" დღეს ისევე როგორც იცოდა თუ რას აკეთებდა ოქტომბერში (1917). მაგიერათ ისინი სცდილობენ, რამდენადაც ამის უნარი შესწევთ, ენა და კალამი [illegible], „შეასმინონ" უცხოეთის ბურჟუაზიას, რომ მისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის თანამედროვე მდგომარეობის „ცნობა", კომუნისტებთან რაიმე ნორმალური ურთიერთობის დაკავება.

ასეთი მათი ცდა „ახალი ამბავი" არ არის. არა ერთხელ და ორჯერ აყენებდნენ მენშევიკები განგაშს, როდესაც რომელიმე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში კითხვა დაისმებოდა ჩვენ კავშირთან ნორმალური ურთიერთობის [illegible] შესახებ ყველა [illegible] გამოსულან ისინიც ყველასთვის ასეთ მომენტებში და მთელი ძალღონით აყენებდნენ, რომ როგორმე ხელი შეეშალათ ამ ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის. რასაკვირველია, ყოველ ასეთ შემთხვევაში მათი იარაღი ყოფილა ტყუილი, ინსინუაცია, ცილისწამება, ჭორები იმის შესახებ რაც არის და რაც არ არის: მახინჯება სინამდვილის, წინ წამოყენება გამოგონილი ამბების. და ამ დღესაც არ ღალატობს თავის ჩვეულებას მენშევიკების ის ჯგუფი, რომელიც განისვენებს ებერტის სატახტო ქალაქში.

მეთაური ამ ჯგუფის, ფ. დანი, არჩევს საკითხს რუსეთ-ბრიტანეთის დამოკიდებულების შესახებ, ეხება მიმდინარე ლონდონის კონფერენციის პერსპექტივებს და გადაჭრით ურჩევს ინგლისის ბანკირებს და მრეწველებს „[illegible]", დაანებონ თავი ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას, რადგან ვერავითარ მოგებას, ვერავითარ სარგებლობას ინგლისის კაპიტალი ვერ ნახავს თანამედროვე რუსეთში და მთელ საბჭოთა კავშირში. რატომ?

იმიტომ, რომ პოლიტიკური ეკონომიური რეჟიმი, რომელიც დამყარდა ამ ქვეყნებში „კომუნისტების დიქტატურის" დროს, არ იძლევა ამის გარანტიას. თუ ბოლშევიკები უარს იტყვიან [illegible]—მიმართავს დანი ბანკირებს—გარანტიები მოქალაქეობრივი წესწყობილებისა, მდგომარეობა დარჩება ძველი და ამიტომ ძველებურად არა ხელსაყრელი უცხოეთის კაპიტალის მუშაობისათვის.

აქედან ლოზუნგი: „დემოკრატია და თავისუფლება".

ამასთან ერთად ბ. დანი [illegible] რუსეთის ბურჟუაზიის დამცველის როლში. მისი აზრით საბჭოთა წესწყობილება გასაქანს არ აძლევს ბურჟუაზიას. ლენინმა გამოაცხადა ახალი ეკონომიური პოლიტიკა „სერიოზულად და დიდი ხნით", ხოლო ლენინის მემკვიდრეები გამოდიან და [illegible] წარმოებენ დღეს ამავე ბურჟუაზიის წინააღმდეგ [illegible] ტერორის [illegible], საბჭოთა მთავრობის ზომების მიღება შინაური ვაჭრობის რეგლამენტაციის მიზნით, არის უარყოფა ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და ლენინის ანდერძის. ის ამ ერთი გაიტაცა ჩვენი სპეკულიანტური ბურჟუაზიის და საზოგადოთ ბურჟუაზიული კლასის დაცვის სურვილმა, რომ [illegible] თავდაყირაზე დააყენა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპები.

ჩვენ არასოდეს არ ვუარყოფთ, რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ბურჟუაზიის უსაზღვრო [illegible], რომ ეს პოლიტიკა წინააღმდეგია სახელმწიფოს ჩარევისა შინაური ბაზრის მოწესრიგების საქმეში და რომ ხელისუფლებამ უნდა [illegible] კლასიური თავგასულობა გარკვეული მიზნით დაწყებული კერძო კაპიტალისა ჩვენ სინამდვილეში. დანს ავიწყდება, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოცხადებისთანავე ერთად პარტიამ ნათლად წარმოადგინა საფრთხე ბურჟუაზიული გადაგვარების და მიაკუთვნა „მბრძანებელ მაღლობებს" როლი მომწესრიგებელის იმ სტიქიაში, რომელსაც გამოიწვევდა ეს პოლიტიკა და კიდევაც გამოიწვია და თუ დღეს გამომდგარა მენშევიზმის ბელადი, ცრემლს ღვრის შევიწროებული ბურჟუაზიისათვის და მოითხოვს მისთვის გარანტიებს—ეს მას მოსდის იმიტომ, რომ ის არის იდეოლოგი ამ ბურჟუაზიის, კაპიტალისტური რესტავრაციის, მტერი პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების.

მაგრამ ვის უმზადებს (ისევ რამდენადაც შესწევს ამის შეძლება) ნიადაგს დღევანდელი მენშევიზმი, ვის ეხმარება ის?

ეხმარება გარეთ ბანკირებსა და ინტერვენციონისტებს, ჩვენი შინაური საქმეების ჩარევის მომხრეებს, შიგნით კი იმავე შინაურ ბურჟუაზიას. ხოლო მისი „დემოკრატიისა და თავისუფლების", რომელთა მოთხოვნით გამოდის დღეს ბ. დანი, არის ფაქტიურად ერთი საფეხურთაგანი გაშიშვლებული რეაქციის მოსაბრძანებლად ტახტზე. სხვა გზით დღეს სულელი თუ მოისურვებს შეცვალოს ბოლშევიკების დამარცხებას. ამ საბრალო დღეს, ამდენი მწარე გამოცდილების შემდეგ, კონტრ-რევოლუციის აშკარა მოციქულებიც ვერ [illegible], ვერც ისინი იტყვიან [illegible] დღეთ დამარცხებით ბოლშევიკების მათ [illegible] დაუსვათ რეაქცია. ყოველ [illegible] კონტრ-რევოლუცია [illegible] „დემოკრატიის" და „თავისუფლების" საფარქვეშ, რასაკვირველია დროებით, [illegible] შემდეგ კი [illegible] „სოციალისტები", „დემოკრატები" და „რევოლუციონერები".

ეს როლი „სოციალისტების" შეგნებული აქვს ჩვენ მუშებს და გლეხებს მენშევიკების „პრაქტიკიდან" განსაკუთრებით [illegible] შემდეგ [illegible], რომ არავის არ [illegible] მათ ანგარიშზე დღეს.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია და საკონტროლო კომისია

საქართველოს კომპარტიის მე 3 ყრილობამ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას საბოლოოდ მისცა ის ორგანიზაციული ფორმა, როგორიც გათვალისწინებული არის ამხ. ლენინის წერილებით მუშათა და გლეხთა ინსპექციაზე. გასულ წლის პარტიის მეორე ყრილობის დროს ჩვენ გვქონდა მხოლოდ და მარტო ამხ. ლენინის წერილები—თუ როგორ უნდა მოხდეს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის გაერთიანება და არ იყო ამ ფრიად მნიშვნელოვან და რთულ საკითხზე რუსეთის კომპარტიის მე-12-ე ყრილობის ავტორიტეტული და გარკვეული აზრი. ამიტომ მაშინ, საკონტროლო კომისიის არჩევნების დროს არ იყო მიღებული აზრი მისი ინსპექციასთან გაერთიანების შესახებ. ვინაიდან გათვალისწინება იმას, თუ რა ფორმაში ჩამოყალიბდებოდა ეს გაერთიანება, ბოლოს და ბოლოს ეს გაერთიანება წარმოადგენდა ზედმეტ სიძნელეს. რუსეთის კომპარტიის მეთორმეტე ყრილობამ მიიღო ამ საკითხის შესახებ დადგენილებები ამხ. ლენინის მოსაზრების თანახმად და იქ კიდეც განხორციელდა ცენტრალური საკონტროლო კომისიის ინსპექციასთან გაერთიანება.

ჩვენში დღემდე მ. და გ. ინსპექციის კავშირი უმაღლეს პარტიულ ორგანოებთან ხორციელდებოდა კომპარტიის ცეკას საშუალებით. ეს კავშირი გამოიხატებოდა იმაში, რომ ყველა პრინციპიალური და მნიშვნელოვანი საკითხები ინსპექციიდან გადადიოდა განსახილველად პარტიის ცეკაში. უნდა ვაღიაროთ, რომ, ვინაიდან ცეკა დატვირთული იყო თავის პირდაპირი მოვალეობით, ის ვერ მოახერხებდა მიეღო ინსპექციის მუშაობაში უახლოესი მონაწილეობა, მაგრამ უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ეს კავშირი ინსპექციის ცეკასთან მჭიდრო იყო. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ თავის მუშაობის სულ მოკლე ხანის განმავლობაში (ნახევარი წელი) მიაღწია მეტად მნიშვნელოვან შედეგებს. პირველ ყოვლისა პარტიის უმაღლეს ორგანოსთან კავშირის დაჭერის გამო ინსპექციამ მოიპოვა ის ავტორიტეტი, რომელზედაც ლაპარაკობდა ამხ. ლენინი თავის უკანასკნელ წერილებში.

გარდა ორგანიზაციული მუშაობისა, რომელიც ჩატარებულ იქნა ამ ხნის განმავლობაში (ინსპექციის ორგანიზაციის შეცვლა ახალ ამოცანებთან შეფარდებით, შტატების შემოკლება, პირადი შემადგენლობის გაწმენდა და მასზე პარტიული მომზადებული მუშაკებით გაძლიერება, დებულებების და სხვადასხვა დადგენილებების სათანადო წესით დამტკიცება, ინსტრუქციების ახალი მეთოდით მუშაობის შესახებ, შემუშავება და სხვა), საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა მთელი რიგი გამოკვლევები ჩვენი სამეურნეო და ადმინისტრატიულ ორგანოების მთავარ, მბრძანებელი პუნქტებისა, როგორც მაგალითად: ჩიათურის ქარხნის, ჩაის კულტურის, საბჭოთა ძირითადი აპარატების, კოოპერაციის, მთავარი საკურორტო სამმართველოსი, სახელმწიფო გამომცემლობის და სხვადასხვა. მოხდენილ გამოკვლევების ცხრილიდან ნათლად სჩანს, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია აქცევს ყურადღებას ისეთ დარგებს ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა, რომელზედაც დღეს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას. განვლილი მუშაობის შედეგების მიხედვით ჩვენ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომავალში ინსპექციის მუშაობა ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეში მოგვცემს მეტ შედეგებს.

საკონტროლო კომისიასთან გაერთიანებით ინსპექციას ემატება ის ავტორიტეტი, რომელზედაც ზევით იყო ლაპარაკი. ამავე დროს ამ გაერთიანების საშუალებით ინსპექციის მუშაობაში უზრუნველყოფილი იქნება პარტიული ხაზის სისწორით და მტკიცეთ გატარება. საკონტროლო კომისიის წევრები, რომლებიც გამოყოფილი არიან ინსპექციაში სამუშაოდ, გააძლიერებენ ამ უკანასკნელის პირად შემადგენლობას; ისინი მიიღებენ ინსპექციის ყოველდღიურ მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას. ამხ. ლენინის ნაწერებში ნათლად არის გატარებული ის აზრი, რომ ინსპექციაში მომუშავე საკონტროლო კომისიის და ინსპექციის კოლეგიის წევრები უნდა იყვნენ არა მარტო ხელმძღვანელები, რაც თავის თავად უნდა ვიგულისხმოთ, არამედ ისინი უშუალოდ უნდა გაეცნონ გამოსაკვლევ დაწესებულებების დადებით თუ უარყოფით მხარეებს და მათთან ერთად აწარმოვონ ყოველგვარი მუშაობა.

ინსპექციის მუშაობის ნაყოფიერება ბევრად და უმთავრესად დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად შესძლებს ის მშრომელთა ფართო მასებთან კავშირის დაჭერას, ეს კავშირი უნდა ხორციელდებოდეს სამი გზით.

პირველ ყოვლისა, საჭიროა გამტკიცებულ იქნეს კავშირი პროფორგანიზაციებთან. ეს საქმე დღემდე უშუალოდ მოისუსტებდა: ინსპექციის მიერ წარმოებულ გამოკვლევებში პროფორგანიზაციების წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, უნდა კეთდებოდეს მოხსენებები საერთო კრებებზე ინსპექციის მუშაობის და მისი ამოცანების შესახებ. ერთი სიტყვით ინსპექციამ უნდა შესძლოს დააინტერესოს პროფკავშირის წევრები თავის მუშაობით, დაუახლოვდეს მათ.

შემდეგ ინსპექციამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ინფორმაციის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. მშრომელთა ფართო წრეებს უნდა ექნეთ საშუალება პრესის საშუალებით გაეცნონ ინსპექციის ყოველდღიურ მუშაობას. სისტემატიურად უნდა თავსდებოდეს საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ინსპექციის ყოველდღიური მუშაობის შესახებ ცნობები და წერილები. მუშკორებთან პირდაპირი კავშირის დაჭერა, მათ მიერ პრესაში მოთავსებულ შენიშვნების და წერილების შესახებ გამოძიების მოხდენა და შედეგების გაზეთშივე გამოქვეყნება წაახალისებს მუშკორებს და ამ გზით ინსპექცია შესძლებს მაქსიმალურად გამოიყენოს პრესა თავისი მიზნების განსახორციელებლად.

მესამე ზომა არის ინსპექციის მუშაობაში, სახელმწიფო თუ სამეურნეო აპარატის გაუმჯობესების მიზნით, ფაბრიკა-ქარხნების მუშების აქტიური ნაწილის ჩაბმა სამ აპარატის გაუმჯობესების დამხმარე უჯრედების საშუალებით. ინსპექციის დამხმარე უჯრედები უკვე მოეწყო ორ მთავარ სამრეწველო ცენტრში და ჯერ-ჯერობით შედეგი დადებითია. მომავალში ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაფართოვდეს იმ დამატებითი ინსტრუქციების მიხედვით, რომელიც შემუშავებულია ცენტრში, და რომლითაც ინსპექციის უჯრედები ურთიერთან ფაბზავკომებს.

თუ ყველა აღნიშნული ზომები ცხოვრებაში დაუყოვნებლივ და ერთსულოვნად იქნება გატარებული, ინსპექცია ვალის მტკიცე ნაბიჯით იმ გზით, რომელიც მას დაუსახა ამხ. ლენინმა და კომპარტიის მე 12-ე ყრილობამ.

დ. ძ.

თეთრგვარდიელთა პრესა

„სოციალისტ-რევოლუციონერები" და მონარქისტები

უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა საუბარი, რომელიც ჰქონდა „დიდ მთავარს" ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ამერიკის ჟურნალისტთან. რუსეთის კონტრ-რევოლუციის მეთაურმა გამოხსენა მსოფლიოს თავისი პრეტენზიების შესახებ, გაანდო მას თავისი ღრმად [illegible] აზრები და გეგმები.

პირველ ყოვლისა მან განაცხადა, რასაკვირველია, რომ ბოლშევიკები უნდა ჩამოვაგდოთო (და მარტო ამით მან უკვე მოინადირა „სოციალისტ-რევოლუციონერების" გული) მაგრამ ადვილია ლაპარაკი ბოლშევიკების დამარცხებაზე. როგორც ცნობილია, ასეთი სურვილი არასოდეს არ აკლდა კონტრ-რევოლუციას, მაგრამ როგორღაც დღემდე არა სჩანს, რომ ამ მხრივ რაიმე მიღწევა აღენიშნოს თავიანთ „გულიერებში" ამ ავანტიურისტებს, რადგან ხალხმა კარგა ხანია იგემა მათი ბატონობა და იცის ვისთან აქვს საქმე.

ამიტომ კონტრ-რევოლუცია სხვანაირათ უდგება საკითხს. მას სურს გლეხობის გული მოიგოს. დიდი მთავრის აზრით, მიწები უნდა დარჩეს გლეხებს ჯერ-ჯერობით და შემდეგ როდესაც ცხოვრება შევა „ნორმალურ" კალაპოტში, არ უნდა იყვნენ დავიწყებული ყოფილ მემამულეების ინტერესებიც. როგორ უნდა დაკმაყოფილდნენ ეს მემამულეები—ამაზე „დიდი მთავარი" სდუმს და [illegible] იქცევა, რომ სდუმს. რაც შეეხება რუსეთის სახელმწიფოებრივ ფორმას ბოლშევიკების შემდეგ (!!), ეს საკითხი.

„ჩვენ აქ, უცხოეთში კი არ უნდა გადავწყვიტოთ—ამბობს ავანტიურისტი—არამედ თვით რუსეთის ხალხმა გადასწყვიტოს"-ო.

ყველასათვის ცხადია რა სურს რეაქციის მეთაურს. მაგრამ ყველასათვის ცხადია ისიც, რომ ვერავის ვერ შეიყვანს ის შეცდომაში, გარდა თეთრგვარდიელ ინტელიგენტებისა. ამიტომ [illegible] მოვუსმინოთ, რას სწერს ამის შესახებ „სოციალისტ-რევოლუციონერების" გაზეთი „დნი" (ბერლინი, 11 მაისი).

„...დიდი მთავარი სიტყვით მაინც არ ღალატობს იმ ფიცს, რომელიც დადო 8.6 1917 წლის მარტში, რომ არ უღალატებს ახალ სახელმწიფოებრივ „წესწყობილებას" და ქვევით:

„სინდისიერათ თუ განვიხილავთ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სიტყვებს, არ შეიძლება მასში ვნახოთ სხვანაირათ, თუ არა აშკარა ცნობათ რევოლუციისაგან წარმოშობილ ხალხის ბატონობისა და მით ფერი უარის თქმათ ჩამოგდებულ დინასტიისათვის „რუსეთის" იმპერიის ძირითადი კანონებით მინიჭებულ უფლებებზე".

ამნაირათ რუსეთის რეაქციის მეთაური გამოჰყავს კერენსკის გაზეთს დემოკრატად და რესპუბლიკანელად, ყოველ შემთხვევაში მონარქიის მოწინააღმდეგეთ. ამაზე მეტი დაცემა, და გარეწრობა „რევოლუციონერი" და „სოციალისტური" პარტიისა წარმოუდგენელია. როდესაც ჩვენ ვწერთ „სოციალისტ რევოლუციონერებზე" და მათ მეგობრებზე, რომ ისინი ემსახურებიან კონტრ-რევოლუციას, ეს ზოგიერთებს გადამეტებული ჰგონიათ.

გაზეთი ასე ათავებს:

„ცნობებმა, რომლებიც მოდიან რუსეთიდან, დაარწმუნეს დაბეჩავებული ძველი წყობილების მოციქულები, რომ იქაც არა აქვს რაიმე საერთო ხალხის სურვილებთან. [illegible]".

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სოციალისტ რევოლუციონერები და მენშევიკები ბრალს სდებდნენ კომუნისტებს იმაში რომ მათი მოქმედება რუსეთში, პოზიციას უმაგრებს რეაქციას, დღეს გამოდიან იგივე ბატონები და ყირამალა აყენებენ თავიანთ ნათქვამს.

მკითხველი დაინახავს ერთხელ კიდევ ყველა ამ ამონაწერებიდან, თუ ვისთან გვაქვს საქმე „სოციალისტ რევოლუციონერების" სახით და რომ კომუნისტების გარეშე აღარ დარჩა აღარც ერთი რევოლუციონური პარტია არც რუსეთში და ჩვენ კავშირში საზოგადოთ და არც უცხოეთში.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

აფეთქება რუმინეთში

აფეთქების გამოწვეული ზარალი უდრის რამოდენიმე მილიარდ მანეთს

ბუქარესტში პანიკაა; მცხოვრებლები გარბიან ქალაქიდან

ადამიანთა მსხვერპლი ჯერ გამოურკვეველია

ვენა, 29 მაისი. ბუქარესტის გარეუბნებში აფეთქდა სამხედრო მასალის ქარხანა, სამხედრო [illegible], სამხედრო საწყობები და ვაგონები სამხედრო მასალით. ბუქარესტში აფეთქებამ დაანგრია რამდენიმე სახლი და მეფის სასახლის ნაწილი. აფეთქება გრძელდება და მოედვა სამხედრო მასალის სხვა საწყობებსაც. მოსახლეობის გადასარჩენად ზომების მიღება შეუძლებელია. მოკლულების, დაჭრილების და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვი ძლიერ დიდია. ზარალი მრავალ მილიარდ მანეთს უდრის. აფეთქების მიზეზი გამოურკვეველია. ბუქარესტში პანიკაა.

[illegible] მოითხოვენ.

ვენა, 29 მაისი. ბუქარესტში გაიხსნა სამხედრო საბჭოს სხდომა. სამხედრო მინისტრმა ახალი კრედიტები მოითხოვა.

აფეთქების გარშემო.

ბერლინი 31 მაისი. ბუქარესტიდან ორი მილის დაშორებით აფეთქების მიერ სრულიად განადგურებულია იარაღის და ასაფეთქებელი მასალების საწყობი. აფეთქება მოახდინა [illegible] ნაპერწკალმა. აფეთქებამ ჰაერში აისროლა არტილერიის ყუმბარებით დატვირთული ვაგონები. აფეთქება გრძელდებოდა რამოდენიმე საათი ზედიზედ; ზარალი უდრის რამოდენიმე მილიარდს. ბუქარესტში დანგრეულია რამოდენიმე სახლი, დაზიანებულია მეფის სასახლე. მოკლულთა რიცხვი ჯერ არ არის გამორკვეული.

პარლამენტი შესწყვიტა მუშაობა.

ბერლინი 31 მაისი. გუშინ ბუქარესტში, მთელ რიგ გრანდიოზულ აფეთქებების გამო ადგილი ჰქონდა საშინელ პანიკას; აფეთქებამ სრულიად გაანადგურა იარაღის საწყობი ქალაქის მახლობლათ. ადამიანთა მსხვერპლი დიდია, ზარალი აურებელია, დანგრეულია მრავალი შენობები. იმ რაიონის მცხოვრებლები, სადაც აფეთქება მოხდა, იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი ბინები; მოსახლეობა, [illegible] თავის დაღწევის მიზნით, იძულებული იყო გადასახლებულიყო სხვა რაიონებში. მეფე ფერდინანდი, რომელიც თავის ოჯახით ქალაქის გარეთ მდებარე სასახლეში იმყოფებოდა, იძულებული იყო გაქცეულიყო ქალაქის სასახლეში. საწყობებში დაგროვებული იარაღი იყო შენახული, მათ რიცხვში 12 000 ხელით სასროლი ყუმბარა. ზარალის საერთო რაოდენობა უდრის 2 მილიონ რუმინეთის ლეის.

რა ხდება გერმანიაში

გრძელდება ახალი მთავრობის „ძებნა"

ნაციონალისტები ილაშქრებენ შტრეზემანის წინააღმდეგ

ბავარიის კონსტიტუციაში შეტანილი იქნება თვალსაჩინო ცვლილებები

[illegible] კრიზისი.

ბერლინი. 28 მაისი. ყოველდღიურად ხშირდება გერმანიის ძველი ფირმების გაკოტრების და მრეწველების საზღვარ გარეთ გაქცევის შემთხვევები.

[illegible]

ბერლინი. 31 მაისი. მთავრობის შედგენის საკითხში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. რეიხსკანცლერის ოფიციალური მოლაპარაკება არ ჰქონია, არამედ არაოფიციალური მოლაპარაკებას აწარმოებდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. ამ მოლაპარაკების დროს არჩეულია ამა თუ იმ კოალიციის შექმნის შესაძლებლობის საკითხი.

ბერლინი. 31 მაისი. მარქსი დღეს განაგრძობს მოლაპარაკებას. ფიქრობენ, რომ ის დღეს მოაგვარებს მთავრობის შედგენის საკითხს.

პარიზი. 31 მაისი. ნაციონალისტები ეწინააღმდეგებიან შტრეზემანის დანიშვნას საგარეო საქმეთა მინისტრად. ამ პოზიციის გამო, რომელიც სახალხო პარტიას უჭირავს, ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობა უმთავრესად მემარჯვენე ელემენტებისაგან შესდგება.

თავს იწუხებენ.

ბერლინი. 29 მაისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი ცდილობს გააბათილოს ამხ. კრასინის განცხადება იმის შესახებ, რომ გერმანია იზარალებს კონფლიქტის ეკონომიური შედეგებისაგან. ამის გამო ხსენებული გაზეთი ამბობს, რომ რუსეთ-გერმანიის ეხლანდელი სავაჭრო ოპერაციები შეადგენენ ომამდე არსებულ ვაჭრობის უმნიშვნელო ნაწილს.

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ"-ი იუწყება, რომ სავაჭრო წრეების აზრით, კონფლიქტმა დაკარგა წინანდელი სიმწვავე, რადგან საბჭოთა მთავრობამ უკვე განაცხადა, რომ ექსტერიტორიალობის საკითხი შეიძლება გადაიდოს სავაჭრო ხელშეკრულების დადებამდე.

გადახრა მარჯვნივ.

ბერლინი. 29 მაისი. გაზეთების ცნობით, მარქსის და ჰერგტის მთავრობაში შევლენ შემდეგი ნაციონალისტები: ვიცე-კანცლერი შინაგან საქმეთა მინისტრი—ჰერგტი, სასურსათო მინისტრი—შილე, გარეშე საქმეთა მინისტრი—[illegible].

სახალხო პარტია ცდილობს ზურგი გაუმაგროს შტრეზემანს, რომლის დღეები, საერთო აზრით, დათვლილია. რეიხსტაგის თავმჯდომარის არჩევა გამემარჯვენების ნიშანია. სახალხო პარტიის ფრაქციამ შეიტანა წინადადება ვეიმარის კონსტიტუციაში ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის შესახებ. ფრაქცია, მოითხოვს შავ-წითელ-თეთრი ფეროვან სახელმწიფო დროშის დამტკიცებას, საარჩევნო უფლებებისათვის 20-წლიან ასაკის მაგიერ 25—წლიანის შემოღებას და კონსტიტუციის იმ ნაწილის გადასინჯვას, რომელიც ეხება ცენტრალურ მთავრობისა და ცალკე სახელმწიფოთა ურთიერთ დამოკიდებულებას.

დემოკრატები აცხადებენ, რომ ახალმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს რეიხსტაგის მძლავრ ოპოზიციას.

[illegible]

ბერლინი, 29 მაისი. 62 დაპატიმრებული კომუნისტი და მათ შორის რეიხსტაგის 8 დეპუტატი მიცემული არიან პასუხისგებაში. დაპატიმრებულთ ბრალად ედებათ „აკრძალულ პარტიებში" მუშაობა.

მდგომარეობა საფრანგეთში

მონარქისტებმა მოაწყვეს თავდასხმა ერიოზე

სოციალისტები [illegible] არიან მთავრობაში შესვლის

პუანკარე გადადგება დღეს

ხმები ერიოზე თავდასხმის შესახებ.

ბერლინი. 31 მაისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ში მოთავსებულია ჯერ შეუმოწმებელი ცნობა ერიოზე თავდასხმის შესახებ. თავდასხმა მოახდინა მონარქისტმა იმ დროს, როცა ერიო გენ. კასტელნოსთან ერთად ლიონში მიემგზავრებოდა. გაზეთი იუწყება, რომ გენერალი კასტელნო დაიჭრა, როცა მას სურდა დაეფარა ერიო.

ფრანგ სოციალისტების კონგრესი.

ბერლინი. 31 მაისი. ლიონის დეპარტამენტის სოციალისტების კონგრესმა ხმების დიდი უმრავლესობით მხარი დაუჭირა სოციალისტების შესვლას მთავრობაში.

ძირს მილერანი!

ბერლინი. 31 მაისი. პარიზიდან მიღებული ცნობით, ლუარის დეპარტამენტის რესპუბლიკანურ სოციალისტური ბლოკის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს პრეზიდენტ მილერანის გადადგომას, სანამ ახალი მთავრობა შესდგებოდეს.

პუანკარეს მთავრობის გადადგომა.

პარიზი 31 მაისი. პირველ ივნისს პუანკარე გადასცემს პრეზიდენტ მილერანს განცხადებას მისი კაბინეტის გადადგომის შესახებ.

როკფელერის საჩუქარი.

ბერლინი 31 მაისი. ამერიკელმა მილიარდერმა როკფელერმა ერთი მილიარდი მანეთი გადასცა საფრანგეთის მთავრობას რეიმის ტაძრისა და ფონტენებლოსა და ვერსალის სასახლეების აღსადგენათ.

ჩვენ და უცხოეთი

ჩეხო-სლოვაკია მზადაა საბჭოთა კავშირის ცნობისათვის

ბოლგარეთის (სახალხო ბლოკის) გლეხური პარტია მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას

ინგლისის მუშათა პარტია მოითხოვს საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემას

ინგლისი

ლონდონი 29 მაისი. მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის და მანქანათ მშენებელ მუშათა კავშირის გამგეობის წევრი ჰეტჩინსონი მოითხოვს საექსპორტო კრედიტების კანონის დაუყოვნებლივ გავრცელებას საბჭოთა კავშირზე და უკანასკნელისათვის მიცემულ სესხის უზრუნველყოფას მთავრობის მხრივ. ჰეტჩინსონი აღნიშნავს, რომ ეს ზომები შეამცირებენ მანქანათ მშენებელ მუშათა უმუშევრობას, რის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის განახლებით, საბჭოთა კავშირი კი თავის რიგათ საჭიროებს სხვადასხვა მანქანებს.

შემდეგ ჰეტჩინსონი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირიდან მანქანების შეკვეთის მისაღებათ ინგლისის მთავრობამ უნდა მოსთხოვოს პარლამენტს თანხმობა მთავრობის სესხის გაცემაზე.

კონტროლი საგარეო პოლიტიკაზე.

ლონდონი 29 მაისი. ინგლისის პარლამენტის მუშათა ფრაქციამ მოიწონა რეზოლუცია საგარეო პოლიტიკაზე პარლამენტის კონტროლის დაწესების შესახებ.

რუმინეთი

ვენა. 29 მაისი. რუმინეთის [illegible] სადგურ მანგალიის ახლო დაილუპა საბჭოთა კავშირის ერთი გემი, რუმინეთის ხელისუფლებამ ისარგებლა შემთხვევით, დააპატიმრა მეზღვაურნი, როგორც „ბოლშევიკური აგიტატორები" და გადაგზავნა ისინი ბუქარესტში.

ჩეხო-სლოვაკია

ვენა 29 მაისი. მცირე ანტანტის კონფერენციაზე, პრაღაში, განხილული იქნება შემდეგი საკითხები: მცირე ანტანტის წევრთა ურთიერთი დამოკიდებულება, მათი დამოკიდებულება სარეპარაციო საკითხისადმი, დამოკიდებულება დიდ სახელმწიფოებთან და საბჭოთა კავშირთან ბესარაბიის საკითხში.

ბერლინში ფიქრობენ, რომ ჩეხოსლოვაკია მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას, მაგრამ სამხრეთ სლავია და რუმინეთი ალბათ მოისურვებენ ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შედეგების დაცდას.

ბოლგარეთი

ვენა. 29 მაისი. ბოლგარეთის გლეხთა პარტია ცდილობს დაუახლოვდეს საბჭოთა კავშირს. პარტიის აზრით საბჭოთა კავშირი წარმოადგენს [illegible] პოლიტიკის უდიდეს ფაქტორს.

დამოკიდებულება გერმანიასთან

[illegible]

ბერლინი. 29 მაისი. ვოლფის სააგენტოს ოფიციალური ცნობა კრასინის იმ სიტყვის შესახებ, რომელიც მან წარმოსთქვა რუსეთის კომპარტიის ყრილობაზე, აღნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამდა რაპალლის ხელშეკრულებით დაწესებულ უფლებების დარღვევის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი ყოველ შემთხვევაში [illegible] მაინც გერმანიის ინტერესების დარღვევას. ამის მაგიერად, ამბობს ცნობა, საბჭოთა მთავრობას სურს [illegible] და ლემანი გამოიყვანოს ისე, თითქოს ისინი გერმანიის პოლიტიკის იარაღი იყვნენ.

ინგლისის ამბები

ახალზელანდიაში იზრდება უკმაყოფილება მაკდონალდის მთავრობით

თემთა პალატაში კონსერვატორებმა გაილაშქრეს მაკდონალდის წინააღმდეგ უმუშევართა საკითხის მოუგვარებლობის გამო

გამოქვეყნდა მაკდონალდის და პუანკარეს მიწერ-მოწერა

ინგლისის ახალშენებში

ლონდონი. 27 მაისი. სამხრეთ აფრიკაში წინასწარი საარჩევნო კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს. ქალაქ ბენონში გამართულ მიტინგებზე ლაპარაკის საშუალება არ მისცეს თავდაცვის მინისტრს და ძალით გააძევეს ის მიტინგიდან. ბლუმფონტეინში [illegible] დაიკავეს ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობა; მუშები სტვენით და აღშფოთებით შეხვდნენ მიტინგზე გამოსულ სმუტს და გზათა ყოფილ მინისტრს. სმუტმა დასტოვა მიტინგი.

ყველანი უკმაყოფილო არიან.

ლონდონი. 29 მაისი. თემთა პალატაში კონსერვატორებმა უსაყვედურეს მთავრობას, რომ მან არ შეასრულა არჩევნების დროს უმუშევრებისათვის მიცემული დაპირებები.

მაკდონალდმა განაცხადა, რომ კონსერვატორებმა დაიწყეს კამათი პარტიული მიზნებით. მაკდონალდმა გააცნო პალატას მთავრობის გეგმა უმუშევართათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად და მიუთითა, რომ თუ მიღებული იქნა კონსერვატორების წინადადება მთავრობა გადადგება.

ასკვიტმა განაცხადა, რომ ლიბერალები ხმას მისცემენ კონსერვატორების წინადადების წინააღმდეგ.

მაკლინმა აღნიშნა, რომ მუშათა პარტიის წევრები უკმაყოფილო არიან იმით, რომ მთავრობა აყოვნებს თავისი პროგრამის განხორციელებით.

პალატამ უარყო კონსერვატორების წინადადება.

მაკდონალდის და პუანკარეს მიწერ-მოწერა.

ბერლინი, 28 მაისი. გამოქვეყნდა მაკდონალდის და პუანკარეს მიწერ-მოწერა.

პირველ წერილში პუანკარე აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა სავსებით მიიღო ექსპერტთა მოხსენების დასკვნა და განაცხადა, რომ ის მზად არის აღადგინოს გერმანიის ეკონომიური მთლიანობა იმ პირობით, თუ გატარებული იქნება ექსპერტთა პროგრამა. პუანკარე ხაზს უსვამს სრულ სოლიდარობას მაკდონალდის განცხადებასთან ამ საკითხის შესახებ და მოიგონებს მაკდონალდს, რომ საჭიროა საწინდარის დატოვება იმ შემთხვევისათვის, თუ ადგილი ექნება ხელშეკრულების დარღვევას გერმანიის მიერ. პუანკარე მადლობას უცხადებს მაკდონალდს დაპირებისათვის ისეთივე შეერთებული ფრონტით გამოვიდეთ, როგორც ეს იყო წარსული ომის დროს, იმ შემთხვევაში, თუ გერმანია არ შეასრულებს თავის თავზე მიღებულ ვალდებულებებს.

მოიგონებს რა მაკდონალდი გერმანიის მიერ განიარაღების პირობების დარღვევას და საფრანგეთის მიერ კუთვნილ გარანტიების მიუღებლობას, პუანკარე ხაზს უსვამს დანაკლისის შევსების მნიშვნელობას საფრანგეთის უშიშროების საკითხში. დასასრულ პუანკარე მადლობას უძღვნის მაკდონალდს მეგობრული გრძნობების გამოთქმისათვის.

შემდეგ წერილში პუანკარე აცხადებს, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაკდონალდის მეგობრულმა გრძნობებმა; პუანკარე დაპირებას იძლევა, რომ ის მიიღებს ყველა ზომებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს კავშირი ორივე ქვეყნებს შორის.

იაპონია და ამერიკა

ბერლინი. 31 მაისი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იაპონიის საპროტესტო ნოტამ დიდი „უსიამოვნობა" გამოიწვია შეერთებული შტატების მთავრობის წრეებში. სახელმწიფო დეპარტამენტი გულგრილად არ ეპყრობა პროტესტს. პრეზიდენტი და სახელმწიფო დეპარტამენტი მიიღებენ ყველა ზომებს, რომ დაარწმუნონ იაპონია იმაში, რომ საიმიგრაციო კანონი არ არის მტრული აქტი იაპონიის წინააღმდეგ.

რუს. კომპარტიის მეცამეტე ყრილობა

29 მაისის საღამოს სხდომა

რკინისგზელების დელეგაცია

მოსკოვი. 30 მაისი. 29 მაისის სხდომაზე ბელორუსია-ბალტიის რკინიგზათა 300 მუშა დელეგატების დელეგაციამ ყრილობას უძღვნა ორთქლმავალის მოდელი და დროშა და გადასცა მას მისასალმებელი ბარათი. დელეგაციის სახელით გამოსვლა ამხ. ალამენკომ, რომელმაც მადლობა გადაუხადა რუსეთის კომპარტიას იმისთვის, რომ მან საშუალება მისცა მუშებს შესულიყვნენ პარტიის რიგებში. ლენინელები მტკიცეთ დარწმუნებული არიან ცეკას ხაზის სისწორეში და ისინი ფიცს სდებენ, რომ არ გადაუხვევენ ამ გზას.

ყრილობამ ერთსულოვანი ტაშით შეხვდა დელეგაციის გამოსვლას; ამხ. ზალუცკი მადლობას უძღვნის ლენინელებს და იღებს დროშას.

პარტიულ-ორგანიზაციული საკითხები

ამხ. მოლოტოვის მოხსენება

პარტიულ საორგანიზაციო საკითხების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მოლოტოვმა. მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა პარტიაში ახალი წევრების მიღება და ამასთან დაკავშირებული პარტიის ამოცანები, შეჩერდა პარტიულ მუშაობაზე სოფლად და წითელ არმიაში, და მოუწოდა ყრილობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კომუნისტების მუშაობას სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებში; მომხსენებელმა აღნიშნა სამეურნეო და სახელმწიფო მუშაობის გადაგვარების შესაძლებლობა და ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა. ამხ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ პარტია დიდ იმედებს ამყარებს პარტიაში ახლად მიღებულ წევრებზე, რომელნიც გააძლიერებენ მუშათა ელემენტების რიცხვს იმ დაწესებულებებში, სადაც ისინი იმუშავებენ.

რუსეთის კომპარტია—საბჭოთა კავშირის ბოლშევიკების კომპარტიაა

ამხ. მოლოტოვმა წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ რუსეთის კომპარტიას დაერქვას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ბოლშევიკების კომუნისტური პარტია.

კამათი ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო გადატანილ იქნა სექციაში.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის

ამხ. ბუხარინის მოხსენება

ამხ. ბუხარინი, რომელმაც მოხსენება გააკეთა ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ, ახასიათებს კომკავშირის პიონერთა ორგანიზაციას, მის მიღწევებს და ნაკლოვანებებს და ლაპარაკობს ამ ორგანიზაციებისათვის პარტიის მიერ ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევის შესახებ. ამხ. ბუხარინმა განაცხადა, რომ სამეურნეო ფრონტზე ჩვენ წინ მივდივართ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ომამდის არსებულ დონეს. ახალგაზრდათა შორის მუშაობის და ახალი თაობის—უკეთესი მერმისის შემქმნელთა აღზრდის სფეროში, კი ჩვენ მივაღწიეთ ისეთ შედეგებს, რომელთაც ადგილი არ ჰქონია ძველ რეჟიმში, ეს მიღწევები ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენ [illegible] ვერავინ ვერ დაამარცხებს.

კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო გადატანილ იქნა სექციაში. კომისიების ყველა 8 სექციის სხდომა დანიშნულია პარასკევისთვის.

ყვითელ პროფკავშირების კონგრესი

ვენა 29 მაისი. ვენაში ივნისის პირველ რიცხვებში შედგება მე-2 ინტერნაციონალის კონგრესი. დღის წესრიგში: ამსტერდამის ინტერნაციონალის დამოკიდებულება მუშათა მოძრაობასთან, საერთაშორისო სოციალური კანონმდებლობა, ბრძოლა ომისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის.

5 ივნისს დაიწყებს მუშაობას მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი. აღმასკომის სხდომას დაესწრებიან: ინგლისის მუშათა პარტიისაგან- კრომპი, ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიისაგან—ბროკვეი, უოლხედი, დაშიელი, საფრანგეთიდან ბრაკი და ლონგე, გერმანიიდან—ველსი, კრისპინი და ველსი, ბელგიიდან—ვანდერველდე, დე ბრუკერი, ჰოლანდიიდან—ვლიეგენი, დანიიდან—ანდერსენი. აქ იქნებიან აგრეთვე: მენშევიკები წერეთელი და აბრამოვიჩი, ესერი სუხომლინი და ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, სომხეთის, საბერძნეთის, იტალიის, შვეიცარიის, უნგრეთის, ლატვიის და ესპანეთის სოციალ დემოკრატიული წარმომადგენლები. აღმასკომის დღის წესრიგი: პოლიტიკური მდგომარეობა, ხელშეკრულებები გარანტიების შესახებ, 8 საათის სამუშაო დღე, ინტერნაციონალის 60 წლის თავის დღესასწაული, ანტიმილიტარისტული დემონსტრაცია და დამოკიდებულება სხვა საერთაშორისო გაერთიანებებთან.

2 ივნისს შედგება სოციალ დემოკრატიული ახალგაზრდობის ინტერნაციონალის ბიუროს სხდომა.

პირველ ივნისს შედგება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული ქალთა ორგანიზაციების თათბირი.

სხვადასხვა ამბები

● **პარლამენტარიზმის გაკოტრების კიდევ ერთი ნიმუში.** საბერძნეთის პარლამენტის მიერ დეპუტატთა მანდატების დამტკიცების შემდეგ გამოირკვა, რომ ოპოზიციის ბლოკს პარლამენტში უმრავლესობა აქვს. მაშინ მეფემ განსაკუთრებული ბრძანებით გადადვა ახალი პარლამენტის სხდომა.

● **გაფიცვა შვეიცარიაში.** შვეიცარიის ფოლადის ჩამოსხმელ ქარხნებში გაიფიცა 1800 მუშა. პროფკავშირების ბელადები მოითხოვენ გაფიცვის შეწყვეტას. კომუნისტები მოუწოდებენ მუშებს საყოველთაო გაფიცვისაკენ.

● **ახალგაზრდა რევოლუციონერების ყრილობა.** დასრულდა კორეის ახალგაზრდა რევოლუციონერთა ყრილობა. დაესწრო 210 ორგანიზაციის წარმომადგენელი. ამ ორგანიზაციებში თავმოყრილია 37,000 წევრი.

● **მზადება აჯანყებისათვის.** გაზეთების ცნობით ალბანიაში მზადდება აჯანყება. სკუტარის მიდამოებში თავს იყრიან აჯანყებულთა მრავალრიცხოვანი რაზმები. მთავრობის მოწინააღმდეგეებს იტალიის ახალგაზრდობის იმედი აქვთ.

● **კომუნისტების დაპატიმრება.** სტამბოლში პოლიციამ კვლავ დააპატიმრა ორი კომუნისტი, რომლებიც დაკითხვის შემდეგ გაანთავისუფლეს.

● **ერთა ლიგის მორიგი სესია.** ივნისს შედგება ერთა ლიგის მორიგი სესია.

● **საარჩევნო უფლებები ქალებს.** ინგლისის მუშათა პარტიას განზრახვა აქვს შეიტანოს თემთა პალატაში წინადადება ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭების შესახებ.

შეთანხმება მიღწეული იქნება. „ტაიმსის" კორესპ. [illegible] იტყობინება, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის უკანასკნელი სხდომის საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ მოლაპარაკება ნელა მიდის საკმაოდ ლოდებით შედეგებს განსაზღვრულად. მიუხედავად დისკუსია, რომელსაც ადგილი აქვს მოლაპარაკების დროს, გამოარკვევს ყველა სადაო საკითხებს, გაფანტავს ყველა ეჭვებს და ორივე ქვეყანას მიიყვანს შეთანხმებამდე.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

ქიმიური მრეწველობის ყრილობა.

მოსკოვი. 31 მაისი. 3 ივნისს მოსკოვში გაიხსნება სრულიად საკავშირო ქიმიური მრეწველობის ყრილობა.

საზღვაო წითელ არმიაში.

მოსკოვი 31 მაისი. გამოქვეყნდა რევოლუციონურ—სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ტროცკის მიერ ხელმოწერილი ბრძანება, რომლითაც 1 ივნისიდან საზღვაო ფლოტის რიგებში ჩარიცხული უნდა იქნეს ესკადრილია „ლენინ". ბრძანებაში გამოთქმულია მადლობა „ფლოტის მეგობრებისადმი" საჩუქრისათვის.

კოოპერაცია მოსკოვში.

მოსკოვი. 31 მაისი. მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოება ხსნის მოსკოვში 200 ახალ სასურსათო მაღაზიას. განზრახულია საპაიო გადასახადის გადიდება 5 მანეთამდე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრების თათბირი

მოსკოვი 31 მაისი. 13 ივნისს მოწვეულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრების თათბირი კომისარიატის საორგანიზაციო საკითხების გასარჩევად.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

სოხუმის თამბაქო ლონდონში

სოხუმი 30 მაისი. აფხაზეთის კავშირმა გაუგზავნა ადგილობრივი თამბაქოს პარტია ცენტროსოიუზის განყოფილებას ლონდონში.

ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ

სოხუმი 30 მაისი. მალარიის სეზონის დადგომის გამო აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭომ გაიღო 2000 მანეთი ქინაქინის შესაძენად.

პირველი გაწვევა.

სოხუმი. 30 მაისი. დაიწყო 1902 წელს დაბადებულთა გაწვევა. ახალგაზრდები, რომლებიც წინად არ მსახურობდნენ ჯარის და მენშევიკების არმიებში, როგორც საეჭვო ელემენტები, ახლა პირველად არიან გაწვეულნი.

საბჭოთა აჭარისტანში

— **კოოპერატივების გახსნა თემებში.** ხულოს მაზრის აღმასკომმა გადასწყვიტა ყველა თემებში გახსნას კოოპერატივების განყოფილებანი.

— **სამკურნალო პუნქტი.** სოფ. ყოროლისთავში (ქობულეთის მაზრა) გაიხსნა სამკურნალო პუნქტი.

— **ახალი სკოლის გახსნა.** აჭარის წყლის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე აჭარის წყლის თემში სოფ. დოლოგანში სკოლის გახსნის შესახებ.

— **გზის შეკეთება.** აჭარის წყლის სამაზრო აღმასკომი შეუდგა აჭარის წყლის გზის შეკეთებას.

— **სანიტარულ-განმანათლებელი მუშაობა.** ხულოს, ქედის და აჭარისწყლის სამკურნალო პუნქტებთან დაარსდა სანიტარულ-განმანათლებელი სექციები, სადაც იქნება ღარიბ ხალხს უკითხავენ ლექციებს სანიტარული წესების მნიშვნელობის შესახებ.

— **სკოლის შენობის აგება.** აჭარის წყალზე განზრახულია მეორე საფეხურის სკოლისათვის შენობის აგება.

— **მავნებლებთან ბრძოლა.** აჭარის წყლის მაზრაში აგრონომიულ პუნქტთან დაარსებულია განსაკუთრებული კომისია—მცენარეთა მავნებლობასთან საბრძოლველად.

— **სავეტერინარო პუნქტის გახსნა.** ჯანმრთელობის კომისარიატი სოფ. თოფულ ოღლში (ქობულეთის მაზრა) სავეტერინარო პუნქტს ხსნის.

— **ხიდის აგება სოფ. მეჯინისწყალში.** სახელმწიფო სამეურნეო მოწყობის სამმართველომ შეიმუშავა ხარჯთაღრიცხვა სოფ. მეჯინისწყალში ხიდის ასაგებად.

— **ხიდების შეკეთება.** ქედის სამაზრო აღმასკომის მიერ ადგილობრივ ხალხის დახმარებით შეკეთებულ იქმნა სოფ. ზუნდაგის, დოლოგანის და ქედის ხიდები.

— **ბრძოლა სეტყვასთან.** აჭარისტანის შინა ვაჭრობის კომიტეტმა მაზრებს და თემებში დაუგზავნა სეტყვის საწინააღმდეგო [illegible].

— **სოფ. წუწრუქის სკოლა.** ამ დღეებში დასრულდება სოფ. წუწრუქის სკოლის შეკეთება.

— **ფილოქსერის წინააღმდეგ.** ქობულეთის მაზრის აღმასკომმა მიიღო ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველად დიდძალი წამლეულობა.

— **საავტომობილო გზის შეკეთება.** ამ მოკლე ხანში დასრულდება ხულო-[illegible] გზის შეკეთება.

— **ქობულეთ-ლანჩხუთის გზა.** სოფ. ლელოვანამდის დასრულებულია ათი ვერსი. მიდის სამუშაო, სიგრძით 25 ვერსი.

— **სასოფლო-სამეურნეო სანერგე.** სოფ. მახუნცეთში (ქედის მაზრა) დაარსდა სამცდელ საჩვენებელი სანერგე.

— **ახალი სკოლის გახსნა.** განათლების კომისარიატს განზრახული აქვს სოფ. დოლოგანში და ურეხში სკოლების გახსნა.

— **მოწაფეთა რიცხვი სკოლებში.** ხულოს მაზრის აღმასკომის ცნობით, აპრილის ბოლოს რიცხვებში სკოლებში მოწაფეთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო მუშაობის გამო.

— **სკოლის შენობის შეკეთება.** აჭარის მაზრის აღმასკომმა დაამთავრა სკოლის ძველი შენობების შეკეთება.

— **ქონების კონფისკაცია.** ხულოს მაზრის აღმასკომის დადგენილებით ყველა გადამალული ქონების კონფისკაცია.

— **გზის შეკეთება.** ამ დღეებში დამთავრდება სოფ. ქედასთან გზის შეკეთება, რომლის შესაკეთებლად ადგილობრივ მოსახლეობას დიდი მონაწილეობა მიუღია.

— **რევიზიის მოხდენა.** ცენტრალური სარევიზიო კომიტეტი შეუდგა მაზრებსა და თემებში კომიტეტების რევიზიას.

ეროვნულ-დემოკრატებისა და მენშევიკების „მოღვაწეობა" კონსტანტინოპოლში

მარცვა გლეჯა. შალვა ქარუმიძის დაპატიმრება

(წერილი კონსტანტინოპოლიდან *)

„.... აქ მინდა პატარა ცნობა მოგცეთ. ეს ცნობა შეეხება ჩვენებური ნაც. დემოკრატების გათახსირებას და გახრწნას. რამოდენიმე ხნის წინეთ კონსტანტინოპოლში მოხდა ასეთი ამბავი: შუადღე ქალაქში—პერაში (უმთავრესი ქუჩა) შუადღისას აქ ცნობილ ქალს—ვერაიდა მერკინის—რომელსაც უწოდებენ მეტ სახელად: королева бриллиантов თავის დროზე ვიღაცამ ბოროტ-განზრახულად და ბრილიანტის საყურეები ჩამოგლიჯა ყურებზე. თავდამსხმელმა ასტეხა სროლა და გაიქცა.

ქალს ახლდა ნორვეგიის წარმომადგენლობის მდივანი და პოლონეთის ოფიცერი. უკანასკნელი დაედევნა ფეხ და ფეხ გაქცეულს და ამით მისცა პოლიციას საშუალება მის შეპყრობისა. შეპყრობილი აღმოჩნდა ქართველი პატარაია.

ეს პატარაია არის ერთ ერთი იმ ჯგუფიდან, რომელმაც გაძარცვა მენშევიკების დროს შავ ზღვაზე გემი და ამ გემში მყოფი ამერიკელ კომისარის გასკელის ცოლი, რომელსაც დიდძალი ბრილიანტები მიჰქონდა საქართველოდან საზღვარ გარეთ დასაცავად. ძარცვის შემდეგ გაიყო ორ: ერთი ნაწილი გამოძიებით ბათუმთან და აქ იქმნა შეპყრობილი (შემდეგ მენშევიკების სამ ჯგუფომ ისინი გაამართლა, მათ ხელმძღვანელობდა ცნობილი მანწკავა). მეორე კი გაიქცა ოსმალეთში, იქ იქმნა აგრეთვე შეპყრობილი და საოკუპაციო მთავრობის მიერ (კონსტანტინოპოლში) გასამართლებული. ეს ნაწილი სასჯელს იხდიდა სტამბოლში და ეს პატარაია ორი წლის ციხის შემდეგ ჩამოსული სტამბოლში და აქ ქართველ ემიგრანტების (მენშევიკების და ნაციონალ-დემოკრატების) თავშესაფარში მოთავსებული.

გაძარცულ ქალს ერთი საყურე ჩამოხეულ ყურზე შერჩა, მეორე კი დაიტაცა პატარაიამ. რამოდენიმე ხნის შემდეგ სტამბოლის პოლიციამ აღმოაჩინა ეს ძვირფასი საყურე. ციხეში პატარაიას, მიუხედავად ყოველგვარი ზომებისა (ცემა, საფლარათო და სხვა), ბრილიანტი ვერ აღმოაჩინეს. როგორც შემდეგ გამოირკვა პატარაიას მოუტანია ძვირფასი საყურე, ძალის მეორე ბოლო კბილის ძირზე გამოუბამს და ისე გადაუყლაპავს რასაკვირველია საფლარათო ვერ აღმოჩნდა ასეთი „ტეხნიკის" წინაშე.

როგორც ზევით ვსთქვი ბრილიანტი აღმოაჩინა პოლიციამ ერთ „ბრილიანტიკების" მაღაზიაში Grand Bazar-ში. ვაჭრმა განაცხადა, რომ მან იგი იყიდა ერთი სომხისაგან (გალატაში) აღმოაჩინეს ეს სომეხიც, რომელმაც განაცხადა, რომ ბრილიანტი მანაც სხვისგან იყიდა (მგონი 5 ლირათ) და ეს სხვა აღმოჩნდა შალვა ქარუმიძე. შალვა ქარუმიძე შეიპყრეს და ჩაგდეს ციხეში. ამას წინეთ ე. ი. რამოდენიმე თვის შემდეგ—იგი თავდებობით გამოშვებულ იქნა. აქაური ნაციონალ დემოკრატები და მენშევიკები, რასაკვირველია, სცდილობენ, რომ ეს საზიზღარი ფაქტი რამენაირათ დაფარონ, მაგრამ ამაოთ: მთელმა ქალაქმა იცის საქმის დაწვრილებითი გარემოება. რაც შეეხება შალვა ქარუმიძის პოლიტიკურ ფიზიონომიას და მის როლს ამის შესახებ გეცოდინებათ შენც ეს ლიდერია ნაციონ. დემოკრატების. ცნობილი იყო მთიელთა შორის (ხევსურეთში)".

„უმუშევრათ" დარჩენილი პოლიტიკოსების „მოღვაწეობა"

როგორც ცნობილია, საქართველოდან გაქცეულ კონტრ-რევოლუციონერების ერთ ნაწილს თავი შეუფარებული აქვს საერთაშორისო არამზადათა და ავანტიურისტთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრში, კონსტანტინოპოლში. აქვე იყრის თავს რუსეთის თეთრგვარდიელების საკმაო რიცხვი. ყველას მათ ერთი და ერთი ბედი, იწვიან ასე ვსთქვათ, ერთ ტაფაში. დამარცხებულები ჩვენში, ეს გმირები უცდიან ამ ხნის იქ უკვდიან, მაგრამ მოთმენასაც საზღვარი აქვს. რა ქნან, რა საქმეს მოჰკიდონ ხელი?

იმპერიალისტებმა, რომელთა იმედით ისინი სულს იბრუნებდენ დღემდე, ვერაფერი „ხეირი" ნახეს მათში და თვით შებრალების გრძნობაც მოაკლეს მათ. „სამშობლოდან" კი გასახარი ამბავი არაფერი მისდით. ილაჯ გაწყვეტილნი და იმედ დაკარგულნი ხელს ჰკიდებენ ისეთ „საქმეებს", რომლებიც მათ ყველაზე უფრო ეხერხებათ დღეს. ეს საქმე არის ძარცვა-გლეჯა და ავაზაკობა ან წვრილი ქურდობა. და კიდევაც ეწევიან შეძლებისდაგვარად ამ ხელობას. მაგრამ კონსტანტინოპოლი არის არა მარტო არამზადებისა და ავანტიურისტების (ამ შემთხვევაში არა პოლიტიკური აზრით) ბუდე, არამედ ის ცნობილია გამოცდილ-გამოწვრთნილი სისხლის სამართლის პოლიციითაც. ცხადია ყაჩაღებისა და ქურდებისათვისაც საჭიროა გამოცდილი მაგარი ორგანიზაცია, ისევე როგორც თითო მათგანს ეჭირვება სათანადო გამოცდილება საზოგადოთ და შესაფერისი „ტეხნიკა". და კიდევაც არსებობს, როგორც სჩანს, ასეთი ორგანიზაცია კონსტანტინოპოლში. პატარაიები და ქარუმიძეები არიან ამ „საქმეების" „მომკვარახჭინებელნი", იქაური მენშევიკები და ნაციონალ-დემოკრატები კი მათი მფარველი „ანგელოზები". მათი სურვილი, წერილში მოთხრობილი ამბების მიუხედავად, საკმაოთ ააშკარავებს ვისთან გვაქვს საქმე და რა მუშაობას ეწევიან კონსტანტინოპოლში ქართველი „პოლიტიკური მოღვაწეები".

ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიები მოისპენ საქართველოში. ეროვნულ-დემოკრატებზე ლაპარაკი არა ღირს. რაც შეეხება მენშევიკებს, მათი ბედი ყველასათვის ცნობილია. ავანტიურა, ყაჩაღობა, ყაჩაღებთან კავშირი, მკვლელობა—ამით ირთობდენ თავს ის ერთეულები, რომლებსაც [illegible] მოაქვთ მენშევიკურ [illegible] ასეთსავე „მუშაობას" ეწევიან [illegible] კონსტანტინოპოლშიც და ქარუმიძის და პატარაიას ისტორია ერთხელ კიდევ ააშკარავებს მათ „საქმიანობას" დღეს.

ცნობილი „საზოგადო მოღვაწე", ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ბელადი „დემოკრატიული" საქართველოს „დამფუძნებელი კრების" ცნობილი წევრი, შალვა ქარუმიძე ეწევა კონსტანტინოპოლში ძარცვ ბრილიანტების „რეალიზაციას", განაღდებას და პოლიცია აპატიმრებს მას.

ასე დაეცა, დაწვრილმანდა, გაიხრწნა და გათახსირდა ჩვენი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ბანაკი. ასეთ „ცხოვრებამდე" მივიდნენ ისინი, რომლებსაც „დემოკრატიული საქართველოს" მეთაურებათ და პატრიოტებათ მოჰქონდათ თავი. ეს არის შეცდომით ხალხის მიერ გარიყულთა ავანტიურისტული „მოღვაწეობის" [illegible] გათავდა მათი ამბავი „ვითა სიზმარი ღამისა"...

---

*) მოგვყავს ნაწყვეტი კერძო წერილიდან, რომელიც კონსტანტინოპოლიდან მიიღო ერთმა ამხანაგმა. რ ე დ.

პროლეტარულ რევოლუციის „გაბედული" ბოიკოტი გაზეთ „ქართულ სიტყვაში" და ჟურნალ „კავკასიონში"

1. ორიოდე სიტყვა წინასწარ.

სამ წელიწადს, რაც ქართული რეაქცია, რომელსაც პატრიოტიზმის სამოსში ეხვია გახვეულს მეთაურობს მენშევიზმი—გახვეტილ იქნა ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრების თითქმის ყველა დარგებიდან, რომლებსაც მან სამოთხის დაკარგა ისეთი „ძლიერი" პოზიცია, როგორიც იყო ჩვენი კოოპერაცია, როდესაც და ხერხს ბრძოლაში მისთვის ყველაზე უფრო „ზანდოლ" და „გამოუქმნელი" ცვალებადი პოლიტიკური ძალა მენშევიკური პარტიის ქვეშ ფეხის ნიადაგი საბოლოოდ დაეცა და ახლა—იგი, ქართული რეაქცია, თავს უყრის თავის საკმაოდ განადგურებულ ძალებს იდეოლოგიის, კულტურის და განათლების ფრონტზე. აქ ამაგრებს იგი შემაგრების და დამარცხებულ რიგების ოდნავ მაინც შესვენებას. ბრძოლას იგი ჩვენ ეხლა უმთავრესად ამ ფრონტიდან გვაპირებს: სკოლა, განსაკუთრებით უმაღლესი, და ლიტერატურა—ხელოვნება. ზოგიერთი ბრძოლები რეაქციის ბანაკიდან, რომელთაც „გადარჩენ ბრძოლის" იმედები აქვთ ჩვენი „კულტურობის" გამოუცნობისა და ხშირად აშკარა ბრძოლის ეჭვით, რასაც უფრო პირველი მათი კოლეგები უხერხულად აკეთებენ—აი ასეთი ბრძოლები—ხანდახან არც მალავენ ამას—იგი ი. იდეოლოგიის ფრონტის გაძლიერებას ჩვენს წინააღმდეგ. ასეთი იყო მაგ. კ. გამსახურდიას გამოცემა შარშან ჟურნალ „ილიონი"; ასეთია დღეს ზოგიერთ „ერთობის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ მენშევიკების პოეტური და კრიტიკული „შემოქმედება" გაზეთ „ქართულ სიტყვაში" და „კავკასიონში".

თავის თავად ასეთი გამოსვლები გაკოტრებულ „მოღვაწეების" ცხადი არავითარი მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო დიდ ყურადღების არ ღირს, რომ მათ წინააღმდეგ საჭირო იყოს თუ განდ უბრალო წერილის დაწერაც—მით უმეტეს პარტიის ყურადღების მიქცევა ამაზე—მაგრამ იმდენით, რამდენადაც ჩვენი მშრომელი ინტელიგენცია, რომლის ჩვენთან მუშაობა აუცილებელია და რომელიც პრაქტიკულად უკვე ეწევა ასეთ მუშაობას—ეს ინტელიგენცია (მასწავლებლობა, ექიმობა და სხ.), ჯერ კიდევ არ არის სავსებით განთავისუფლებული ნაციონალიზმის და შოვინიზმის გავლენისაგან, აგრეთვე ნაწილობრივ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობაც ამიტომ, ჩვენ არ შეგვიძლია უდიდესი ყურადღებით, უდიდესი სიფრთხილით არ მოვეპყროთ ყური იმ კულტურულ საზრდოს, რომელსაც აძლევს მას დღევანდელი ჩვენი სინამდვილე. ეს კულტურული საზრდო კი ძალიან ხშირად მოწამლულია შოვინიზმით და ნაციონალიზმით, რომლითაც იფარება პროლეტარულ რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული უსაზღვრო სიძულვილი და მტრობა. და აი აქ, ჩვენ უნდა ვთქვათ აშკარად და ყველას გასაგონად, რომ ჩვენ ამ საკითხში ძალიან ცოტა გვაქვს გაკეთებული.

თუ კი სკოლის დარგში უკვე დაწყებულია ჯერ ჯერობით მიღწევები ძალიან უმნიშვნელოა (ახლაში გვაქვს უმთავრესად უმაღლესი სკოლები)—სათანადო ხასიათის მუშაობა *)—სამაგიეროთ ლიტერატურა—ხელოვნების დარგში თითქმის უკონკურენტოთ ბატონობს ნაციონალისტური რეაქცია. ეს დარგი არის პირდაპირ „ხელუხლებელი კუთხე", აქ მეფობს ის, ვინც სამი წლის წინად ჩვენ ჩამოვაგდეთ პოლიტიკური ტახტიდან და რომ ეს ასე არის ამის საუკეთესო დამამტკიცებელია გაზეთი „ქართული სიტყვა" და ჟურნალი „კავკასიონი".

2. მწერალთა საბჭოს სახე გამორკვეულია

ორივე—„კავკასიონიც" და „ქართული სიტყვაც" ოფიციალური ორგანოა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოსი. ჟურნალ „კავკასიონს" ასეთი წარწერა აქვს: ორგანო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა. გამომცემელი მწერალთა კავშირის საბჭო. რედაქტორი პავლე ინგოროყვა (ყოფილი რედაქტორი გაზეთ „საქართველოსი"). გაზეთი „ქართული სიტყვაც" ასეთივე სახელწოდებას ატარებს: მისი რედაქტორია ვახტანგ კოტეტიშვილი („სახალხო გაზეთის" ერთი მეთაურთაგანი). ამ რიგად ორივე ეს ქართული ორგანო ოფიციალური გამომხატველია და გამტარებელი იმ პოლიტიკის (თუ გნებავთ მარტო სამწერლო, თუმცა ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რომ ეს სამწერლო პოლიტიკა ნამდვილი პოლიტიკის ხასიათსაც ატარებს მოხერხებულ ადგილებზე), რომელიც აქვს, რომელსაც ისახავს და რომლითაც იბრძვის იდეოლოგიურ ფრონტზე საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო. ამით ინტერესი „კავკასიონის" და „ქართული სიტყვისადმი" გაცილებით უფრო იზრდება.

„კავკასიონის" და „ქართული სიტყვის" „სახეები" არის სახე ამ მწერლობის კავშირის ხელმძღვანელ ორგანოსი. და რამდენადაც ეს სახე სიუბილეურ ისეთია, რომ ნამდვილ რეაქციას გვაგონებს—ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ იგი არ ეკუთვნის საქართველოს მწერალთა უმრავლესობას, რომ აქ „პოლიტიკას" ატარებს მხოლოდ გაბატონებული, ორგანიზაცია. ჩვენ ისიც გვინდა ვიფიქროთ, რომ ამ ორგანიზაციაშიც არიან პირები, (რამოდენიმე მაინც) რომლებიც არ ეთანხმებიან ამ პოლიტიკას. ჩვენ ეს გვინდა ვიფიქროთ და მოხარული ვიქნებით ფაქტებისათ, თუ ჩვენი ეს ფიქრი გამართლებულ იქნა, ფაქტი კი მაინც ის არის, რომ მწერალთა კავშირის საბჭო (თუ გნებავთ მასში გაბატონებული უმრავლესობა) თავის ბეჭდვით ორგანოებს, რომელთაც მიზნით დაუსახავს შესაძლებელ და მოსახერხებელ ჯ რობებში ხშირად დიპლომატიური, ხანდახან კი აშკარა „ლაშქრობა" აწარმოოს რევოლუციის წინააღმდეგ უმთავრესად ეს „ლაშქრობა" ბოიკოტის ხასიათს ატარებს, ეს ბოიკოტი ისეთ სიმდვრეზემდის მიდის, რომ შეიძლება ასეთი საანეკდოტო სურათი წარმოვიდგინოთ: შორეულ მომავალში, ჩვენი ქვეყნის მკვლევარი—მას აქვს ხელთ მხოლოდ „კავკასიონი" და „ქართული სიტყვა",—ეს მკვლევარი რაც უნდა გაეჭირვება არ იყოს—ერთი წუთითაც ეჭვიც არ გაივლებს გულში, რომ ის ეპოქა, რომლის დროსაც გამოდიოდნენ „კავკასიონი" და „ქართული სიტყვა"—იყო ხანა პროლეტარულ რევოლუციებისა, რომ ჟურნალი და გაზეთი გამოდიოდნენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე 8 წელზე, რომ თვით იმ ქვეყანაში, სადაც იბეჭდებოდნენ და იკითხებოდნენ ეს ჟურნალ გაზეთები, სამ წელზე მეტი გამარჯვებულად არსებობდა პროლეტარული რევოლუცია... მაგრამ ამაზე შემდეგ..

მწერალთა კავშირის საბჭომ ჟურ. „კავკასიონი" და გაზ. „ქართული სიტყვით"—ნათლად გამოგვიცნო თავისი სახე, ეს სახე მანამდისაც არ იყო მაინც და მაინც ძალიან ფარული ჩვენთვის—მაგრამ დღეს იგი განსაკუთრებული სიაშკარავით გვევლინება.. მტრის ნამდვილი სახის დანახვა—ხანდახან ზედმეტი არ არის. მწერალთა კავშირის საბჭოს სახე ჩვენთვის უკვე გამორკვეულია საბოლოოდ გამორკვეულია მისი დამოკიდებულება ჩვენდამი და ყველა საქმეთა, რომ ჩვენც გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება მისადმი.

3. რას ემსახურება „კავკასიონი" და „ქართული სიტყვა".

ამის შესახებ ჟურნალ „კავკასიონის" რედაქტორი პ. ინგოროყვა სწერს შემდეგს: „ჩვენი ჟურნალი, თუმცა იგი არის ორგანო მწერალთა კავშირის, მაგრამ მისი ინტერესები არ შემოიფარგლება მარტო ვიწრო ლიტერატურით. ქართულ მწერლობას აქვს საპატიო ტრადიცია იყოს მესვეური მთელი ქართული კულტურის, და იგი ეხლაც ვერ აუვლიდა ამ გზას; „კავკასიონი" ყურადღებას აქცევს ქართული კულტურის ყველა დარგებს" (კავკასიონი № 1—2) ამრიგად ჟურნალს დიდი მიზანი აქვს დასახული: ქართული კულტურის ყველა დარგების სამსახური. ეს არის ამავე დროს მისი სახე. როგორია ეს სახე თანამედროვეობის მიმართ? გადავხედოთ ამას ფაქტების შემდეგ სტრიქონებიდან: „კავკასიონი" შეეცდება შეძლებისდაგვარად გამართლოს ეს სახე რამდენადაც შესაძლოა რასაკვირველია ამას ნებას აძლევს ქართული მწერლობის დღევანდელი მდგომარეობა". აქ უკვე დიპლომატიურად გამომდინარეობს ერთგვარი დაპირდაპირება აღებულ ხაზის „ქართული მწერლობის დღევანდელ მდგომარეობასთან"... ეს მდგომარეობა კი განისაზღვრება—უნდა განისაზღვრებოდეს მაინც საერთოდ არსებული მდგომარეობით: პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სხვა, ე. ი. რევოლუციურით, და თუ კი არ მოგვეპოვება სიტყვების უკან დაფარულ აზრის გამოცნობა, აშკარად დაპირდაპირება აღებულ ხაზისა—რევოლუციასთან და ეს ნათლად მტკიცდება ჟურნალ „კავკასიონის" და გაზეთ „ქართული სიტყვის" მთელი შინაარსით. ბრძოლა ქართული კულტურის საშუალებით—რევოლუციის წინააღმდეგ—აი რას ემსახურება „კავკასიონი" და „ქართული სიტყვა".

—„მწერალთა კავშირი მიიღებს ზომებს, რომ ჟურნალი იდგეს თავის სიმაღლეზე,—სწერს ინგოროყვა და ასკვნის:

—„მაგრამ ჟურნალის წარმატება შევრით არის დამოკიდებული ქართველი საზოგადოების ყურადღებაზე". ამ მოწოდებით ათავებს თავის წინასიტყვაობას ჟურნალ „კავკასიონში" მისი რედაქტორი.

მოწოდებას სათანადო გამოხმაურება უნდა. და აი ქართული სიტყვა იწყებს შესაფერ კამპანიას.

პირველ სიტყვას ღებულობს იგ. გომართელი. გაზეთის მე-18 ნომერში ის ათავსებს საკმაოდ მოზრდილ მოწინავეს სათაურით: „ქართული ჟურნალი". ჩვენ არ ვიცით—რა მოსაზრებით მიანდვეს სწორედ გომართელს ეს „პირველი თქმა" „კავკასიონზე". მწერალთა საბჭოს ხომ ყავს გაცილებით უფრო მცოდნე კრიტიკოსები—ვინ არის გომართელი? მაშ რათ დასჭირდათ ამ გაკოტრებულ „ყულაჩებისტის" გამოწვევა პირველ რიგში?! ნათლად ერთით შეგვიძლია ამის ახსნა... გომართელს ხალხში სახელი აქვს, პირველი და მეორე—იგი თავის თავად წარმოადგენს ყველაზე უფრო მასალებ პიროვნებას ქართული გაერთიანებული ლიტერატურულ რეაქციისათვის. იგი მენშევიკიც არის, ფედერალისტიც და ნაციონალ დემოკრატიც. იგი სწორედ რომ საუკეთესო გამოხატულება „ქართველ საზოგადოების" ამგვარ „გაერთიანების".. ამავე დროს მას უკეთ, ვიდრე რომელიმე სხვას შეუძლია ყოველგვარ პრინციპების და ლომმა მოსაზრებების გარეშე გუნდრუკი უკმიოს ყველას—ვისთვისაც კი საჭიროა „მამალი" მენშევიკი ცოფებს ჩამოკრავს მაინც ფედერალისტს ნამდვილი „ყულაჩისტი" არ დაივიწყებს ერთი სიტყვით მაინც გააწყენოს მენშევიკს, რომ ის ოდესღაც სოციალისტი იყო—რუსეთის რევოლუციისათვის იბრძოდა.. „კავკასიონის" გაერთიანებულ ფრონტისათვის ასეთები არ გამოდგებიან. და რადგან უპარტიო უფრო ჩაიღლებით ცხადია არ მოინახება „ქართულ სიტყვის" და „კავკასიონის" სულის ჩამდგმელთა შორის—ქება ყველასი კი საჭიროა—ამიტომ გომართელს ენდობა ეს საქმე—და უმეტეს—რომ მას წერა ქართულად ეხერხება და მწერლის სახელიც აქვს... და მართლაც ძნელი იყო სხვისი გამოყვანა როლში: ვარლამ რუხაძის, გრიგოლ რობაქიძის და... ტერენტი გრანელის ერთნაირად მექებარისა.. გომართელი შესანიშნავად ასრულებს ამ დავალებას. „კავკასიონს" რეკლამა უკეთდება საზოგადოებაში. ინგოროყვას მოწოდება გამოხმაურებას პოულობს..

სანიმუშოთ—როგორც დამახასიათებელი ნათელი ჩვენი დღევანდელი კრიტიკის უბადრუკობისა—გომართელის „ხოტბა".

4. გომართელის ზოგი № 1 „კავკასიონის" შესახებ.

ჩვენ სრულებითაც არ გვინდა იმის თქმა, რომ ჟურნალ „კავკასიონში" თავმოყრილი მასალები ყველანი დასაწუნია. სრულებითაც არა. ჩვენ ვებრძვით „კავკასიონის" საერთო მიმართულებას, მის პოლიტიკის მავნე ხაზს, თორემ ბევრი რამ მასში მოთავსებული სრულიად მისაღები და მოსაწონიც არის—მათი ხსენება რული და მეცნიერული წონის მიხედვით ცხადია... მაგრამ ნუ თუ ერთი წუთითაც შეიძლება დაიჯეროს ვინმემ, რომ მხოლოდ ხელოვნების ბრილიანტებით აივსო 400 გვერდიანი ჟურნალი—ნუ თუ არ, არის ამ ჟურნალის მასალაში, რომელიც მოყვანილია იქ—კრიტიკის ცეცხლით გასატარებელი?.

გომართელის „კრიტიკა" კი აი როგორია:

მაყაშვილის ლექსი: მთელი ლექსიდან სისხლი, იმედიანობა და გაუტეხლობა „მოჰქუხს".

გრიშაშვილის ლექსი: კეთილშობილი და სილა გრძნობის შეუწყვეტელი სურნელება მოჰქრის მთელი ლექსიდან, სურნელება, რომელიც გულის სიმებს ტკბილად არხევს. შანშიაშვილის ლექსი: „მელოდიური აზრი, მათემატიკური კომპოზიცია, ხალასი და ლამაზი ტონი"—

შ. დადიანი „ბედნიერი რაინდი"—„დასაწყისიდან ამტკიცებს, რომ ეს იქნება ერთი საუკეთესო რომანი ჩვენს მწერლობაში":

ლ. ქიაჩელი:—სიცოცხლე, სისხლი და იუმორი ბრწყინავს „კრიმინ ქუდიშვილში"

ს. აბაშელი—ლექსი: „რითმა"!, მუსიკალურია, მშვიდია, ორიგინალურია და ახალი..

გრ. რობაქიძე—„ჩინტვერ ბუდი"—მისტერია იმდენით მნიშვნელოვანია ქართველის მხრივ, იმდენით თავისებური, ორიგინალური, უცხო ჩვენს მწერლობაში, ძლიერი და უზომოდ დრამატული... მასში მე ყველაფერი მომწონს: სილამაზე და სიმძლავრე დიდი, ტონი, ენა, ხასიათი და სხვ.

და ასე სხვ..

რა არის ეს? განა ეს კრიტიკის გარჩევაა?! განა ასეთი მიდგომა „კრიტიკოსის"? ქებისა—არ არის [illegible] ლად დახუშებული ფორმა ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრიტიკისა განა ამით არ თავსდება და იხრწნება თვითონ კრიტიკოსი და მკითხველი? და როდესაც პატივცემულ შალვა აშვილი და სხვები „კავკასიონის" და „ქართულ სიტყვის" [illegible] ხაბლ მოწყვეტილნი გაჰკვირიან ქართულის [illegible] ცნობის გადაგვარების შესახებ—რატომ არ ჩივიან [illegible] ჟურნალ გაზეთებში მაინც [illegible] ქართული [illegible] ყვისადმი, და ქართველ მწერლის [illegible] კრიტიკის სახელისადმი?! განა ეს [illegible] იციან თვით მესვეურებმა მწერალთა კავშირისა? იციან, როგორ არ იციან! მაგრამ რასა იქმთ—„მიზანი" მოითხოვს ამას..

— ასეთია იგ. გომართელის, მაშასადამე „ქართული სიტყვის", მაშასადამე თვით „მწერალთა საბჭოს" და მის თით მომხრეთა გამოსვლა „კავკასიონის" პირველი წიგნის შესახებ. საზოგადოებრივი აზრი იქნება. ჟურნალს სახელს [illegible] და „ქართულ კულტურას" სამსახურს უწევს. გამოვიდა ჟურნალის მეორე წიგნი—მე 3 და მე 4 ნომრები იმავე ტიპის და მასალების იმდაგვარივე დალაგებით.

შესაძლოა ახლა მოინახოს ვინმე სხვა, რომელიც ჟურნალს შეაფასებს მასში მოთავსებულ ნაწარმოებთა წონის მიხედვით.

მაგრამ... ახლაც იგივე სურათი [illegible] „პოლიტიკა" კიდევ „კავკასიონის"—ნამდვილი კრიტიკის და ლიტერატურის. კიდევ საჭირო ხდება ახალ ქება ჟურნალის მეორე წიგნის. ეს კიდევ იგივე იგ. გომართელი გვევლინება ამ როლში..

ვ. ბახტაძე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

---

*) ვფიქრობთ, რომ ეს მუშაობა იმდენ ნაყოფს მაინც გამოიღებს, რომ მომავალ სასწავლო წლიდან ჩვენი უმაღლესი სკოლები რამოდენიმეთ მაინც აყვავდებიან რევოლუციის საქმეთა სულას. ვ. ბ.

პატარა ფელეტონი

შალვა ქარუმიძე

Как ты дошол
до жизни такой?!

...ე მესმის ნიკოლოზ,
...ესმის ფრანგული,
...თითო ხელი [illegible]
...ვერჩევა საოქმელი!
...ი ძალაუფლების
...განვლის სტამბოლი
...ნ სხვა იმედიც
...ინდა, ცხადია,
...რც ერთი სულ არაფს
...ლი, ყულაპალა,
...ეც კი ამ დროს
...ით თავებს კაფავდა,
...ც ბოსლანის, არც ბაღის
...არა ესმოდათ,
...ლოთ მათ პირველად
...ეს ეს მოდათ,
...დ პატივაყრილთათ,
...რული ფულებით,
...მესთქის (და მაშინც
...მის მეგობრებით),
...რომ ამ ხალს [illegible]
...მშვიდობის [illegible],
...ლუმბე, ძარცვაზე
...სისხლის ნთხევაზე,
...რომ, აი, სტამბოლში,
...იმის მახლობლად:
...ყოფილნი ტყის პირსა,
...ხსა, თუ სოფელდ,

აშენონ ბოსტანი
და მკალონ მწვანილი,
შენ რა პოლიტიკით
მონ ხვდებ ბანილ!.
მაგრამ ეს არ მესმის
და არც მესმის:
თუმც არ ვარ თვით, მაგრამ,
მერწმუნეთ, მოეხვევით,
რომ კაცი თავს არ მიგეს
პოლიტიკოსობს,
საბალო სიქ ეში
სქარაბით იგით აგრონომს
და ქართულ ვაშლებზე,
და ქართულ ღვინოზე
ბასიან საჯაროთ,
ვით წმინდა ნინოზე;
ქართული მეტყველისთვის
აშენებ ფაბრიკებს,
არაბულ ცხენებით
სთელი ქართულ „აჯახებს“,
და შემდეგ... („შენებმა“
ზღვა როცა გასცურეს),
სტამბოლში იპარვ
ალმასის საცურეს!!!
რა ქვია ამ ბოლოს:
დაშლა, თუ დაცემა?
ისმის კითხვა! არ ძალმიძს
პასუხის გაცემა...

ანახაძე.

პარტიული ცხოვრება

ლენინის რაიონის პარტიული სკოლა

29 მაისს მოხდა გამოშვება რაიონული პარტიული სკოლის, სადაც ირიცხებოდა სულ 18 ამხ. მათში კურსი დაამთავრა 14 ამხ. ჩვენ მეოცნეობაზე მოვდიოდით დღიდღეობით,—მოდგარ სახელმწიფოებიდან. მაგრამ სკოლის დაინტერესებული სახელით შეგვქონდა საჭირო პოლიტიკური და თეორიული მომზადება. ფრთხილად ბრძოლებით მთელი პროგრამა—დაწყებული პირველ ყოფილ სოციალიზმიდან და დამთავრებული თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოებამდე. შეცვალინობაზე კურსანტები—მუშები—ძლიერ გულმოდგინედ უსმენდნენ ყურს ლექტორის, ძალიან შეკითხვებს და სხვა. რასაკვირველია, ამ სკოლას ჩვენთვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც ჩვენ გამოვდივართ უფრო მომზადებულნი ცხოვრებასა და ბრძოლაში შეგვნებულნი მოწინავე ლენინის მისალებად.

ჩვენ მუშურ სალამს ვუძღვნით ჩვენს ლექტორებს ამხ. რუხაძეს და ფალიაშვილს, რომლებმაც არ დაზოგეს ენერგია ჩვენი გათვითცნობიერებაზე. შემდეგში მოვუწოდებთ ყველა მუშებს ჩაებან პარტიულ სკოლებში, რომ ამ გზით ხელი შევუწყოთ მუშათა კლასის მომზადება-გაწვრთნას.

გაუმარჯოს კომუნისტურ განათლებას.

ყოფილი კურსანტი გორგაძე.

შალვა.

...ორის სამაზრო კომიტეტის მუშაობის ანგარიშიდან

(მარტი—აპრილი)

მარტის და აპრილის თვეების განმავლობაში მაზრკომმა ფართოდ და ენერგიულად ჩაატარა უპარტიო ...ებთა სასოფლო კრება და სარაიონო კონფერენციები შემდეგ სამაზრო შეუდგა სარაიონო პარტკონფერენციების ჩატარებას. ბოლოს მოწვეული იქნა სამაზრო პარტიული კონფერენცია, რომელიც გაიხსნა. აპრილს. კონფერენციის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2. მაზრის ცენტრის გადატანა ბ. შორაში, 3 მაზრკომის ანგარიში, 4 კოოპერაციის შესახებ, მაზრკომის არჩევნები; 6 დელეგატების არჩევნები სრ. საქ. ლ. ამიერ...ყსიის კომორგანიზაციების ყრილობაზე, 7. მიმდინარე საკითხები. ...ნფერენციის დაუწყვეტელი ...ტრის წარმომადგენლები ამხ. ამხ. ...ორჯონიკიძე და იეცნოვ...კი.

კონფერენციამ მოისმინა ძველი ...რაში სამაზრო კომიტეტის, რომ... მუშაობა და აღებული ხაზი ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და ...თა. საკითხების ამოწურვის შემდეგ არჩეულ იქნა ახალი მაზრკომი შემდეგი შემადგენლობით—წევრები: არჩილი გიორგაძე, 2. ვასო ქურდიძე, 3. ანდრო სიამაშვილი, 4 ...ვო ცხოვრებოვი, 5 ალ. ქებაძე, ...ოლო კორინთელი, 7 ს. გორგოძე, ...ნ მამაცაშვილი, 9. არჩილი... ...ლი, 10 ლადო ფუტკ ძე, 11. მა... ...ხელისოვი [illegible] კანდიდატებ: ...მაშ. მეტრეველი, 2 აბრამიშვილი..., 3 ჩაიძე ანტონი, 4 მეს... და ბაჩიძე ზაქრო.

აგრეთვე არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია.

ახლად არჩეულ სამაზრო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე აღმასრულებელ არჩეულ იქნა სამაზრო კომიტეტის 3. მ. მდივნად ამხ. არ. გიორგაძე, წევრებად ამხ. ამხ. 1. არჩილი გიორგაძე, 2. ვასო ქურდიძე. 3 ანდრო სიამაშვილი, 4 ს ცხოვრებოვი. 5 თ. კორინთელი.

მაზრკომი ხელმძღვანელობას უწევს ქვემდებარე პარტორგანიზაციების მუშაობას. დაფუძნებულია ქვე ქვემდებარე პარტორგანიზაციები მაზრინსტრუქტორების მიერ 12 ჯერ, ე. ი. თითო რაიკომში და სარინსტრუქტორო რაიონი თვეში ერთ ჯერ.

გარდა ინსტრუქტორებისა, მაზრაში გაიგზავნენ მაზრის მასშტაბით მომუშავენი პასუხისმგებელი ამხანაგები 20 ჯერ, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სხვადასხვა მორიგი კამპანიების ჩატარება.

გარდა ცოცხალი კავშირისა, რაიკომებს ეძლეოდათ წერილობითი ახსნაგანმარტება ამა თუ იმ საკითხებზე და პრაქტიკული მითითებანი, რომლებიც მეშვეობდნენ საორგანიზაციო კალაპოტის სადოებზე.

სამაზრო კომ ტ. განყოფილებებს წინასწარ აქვთ შემუშავებული სამი თვის მუშაობის გეგმები, რომ ...ლის მიხედვითაც განუ აწარმოებენ მუშაობას სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობის ქვეშ. გაზეთ. კოლეგიების სხდომები იმართებოდა სისტემატიურად ე. ი. თვეში ორჯერ.

ანდრო ცხოვ ...ნელი.

ეკონომიური ცხოვრება

თბილისის ბირჟის დამჯდარი კურსი

(1 ივნისი)

ფუნტი სტერლინგი—12ა მანეთი ...

	ჩერვონცებით
[illegible]	8 მ. 40 კ.
ჩეკები	7 მ. 10 კ.
[illegible]	1 მან. 94 კაპ.
ჩეკები	1 მ. 78 კ.
...ქაღ. ლირა	1 მ.
...ლირა 100 ცალი	8 მან.
...ფრან. 100 ცალი	9 მ. 50 კ.

...ის მანეთი 12 500 მილიონი.

სურსათის ფასები

(1 ივნისი)

...ს 6 კაპ., თეთრი ფქვილი ...სიმინდის ფქვილი—80 კაპ., შაქარი...—33 კ., შაქ. ფქვილი—25 ნახ. კ., მაკარონი—14 კ., ...მელი—13 კ., ბრინჯი ... —10 კ., „...“ 15 კ., საპონი „...“—22 კ.

თბილისის ბაზრის ფასები

(1 ივნისი)

ხორცი 1 ხარ.—7 კ., ხორცი 2 ხარ. 5 კ., თეთრი ფქვილი—10 კაპ, ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი ...—34 კაპ. შაქარი ფქვილი—27 კ. ბრინჯი 10—15 კაპ., მაკარონი—18—20 კაპ.

• | ქ. საგარეო ვაჭრობის სამართველოში

თამბაქოს ნაწარმოებთა საერთაშორისო გამოფენა.

1925 წელს მაისში ლონდონში გაიხსნება თამბაქოს მრეწველობის საერთაშორისო გამოფენა. ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატს განზრახვა აქვს მიიღოს ამ გამოფენაში ფართო მონაწილეობა

• თავის განყოფილებებს წინადადება მისცა ენერგიულად შეუდგნენ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას.

ადგილობრივი ამიერკავკასიის თამბაქოს დასამზადებლად.

• | ქ. საგარეო ვაჭრობის სამმართველომ ... თვეები შეძლება საკითხი სპეციალური შენობის მოწყობის შესახებ ხონში, რათა აწარმოოს ცდები ადგილობრივი გრუნის დამზადების საქმის ...ისთვის დასახმარებლად. ინსტრუქტორები მოწვეულნი იქნებიან.

მასწ. ზ. ჭანდელაკის 40 წლ. იუბილე

თბილისის მე 9 ხარისხის ეკონომიური ტექნიკუმი თხოულობს, 1 ივნისს იმართება ლეისაწვეულს იუბილე. მისი მასწავლებელი ზაქარია მიხეილის ძე ჭანდელაკი ასრულებს თავის მეორმოცე სამოღვაწეო წელს ვისაც გამოუცდია მასწავლებლის ტვირთის სიმძიმე იგი გაიგებს რა დამსახურებაა ქართველი მშრომელ მასის წინაშე ორმოცი წლის უშრომელი შრომა მან 1884 წელს დაამთავრა თბილისის საოსტატო ინსტიტუტი და იმავე წელს დაიწყო მასწავლებლობა ჯერ სათავადაზნაურო სკოლაში მერე დადგნდა სახალხო სკოლაში, და საზოგადო სასწავლებლებში ამ უკანასკნელში მაშინ არსებობდა ქართული განყოფილება, რომლისთვისაც თვითონ მასწავლებლებს უხდებოდათ სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავება და ხელმძღვანელობის შედგენა. სახელოვანი მასწავლებლობამ თვალსაჩინო როლი ითამაშა პროლეტარული ინტელიგენციის წარმოშობაში და ზაქარია ჭანდელაკს დღეს ბევრი მუშა გაიხსენებს როგორც ხელმძღვანელს და მასწავლებელს. 1920 წლიდან იგი მიწვეულია კომერციულ სასწავლებელში (ახლა მე 9 ტექნ.) და მას აქეთ აქ უწევს მასწავლებლის მძიმე ღვაწლს. „ძია ზაქრო“ გულითადი მეგობარია ჩვენი მოზარდი თაობის. ამიტომ მე 9 ტექნიკუმის მოსწავლენი ემზადებიან სახეიმოდ, რომ ღირსეულად აღნიშნონ 40 წლის შრომა.

გ.

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში

სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორები.

საბჭოთა მეორე ყრილობის დადგენილების თანახმად სოც. უზრუნველყოფის სახ. კომის ყველა რწმუნებულები ექვემდებარებიან სამაზრო აღმასკომს და რწმუნებულის მაგივრად იწოდებიან სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორად ამ რიგად სოც. უზრ. სახ. კომი. თავის მუშაობას მოამავალში ადგილობრივ გაატარებს აღმასკომების საშუალებით. ახლანდელ ინსპექტორების სამოქმედოდ სოც. უზრუნ. სახკომმა შეიმუშავა დებულება და ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულ იქნა შინაგან საქ სახ. კომის. არსებულ განსაკუთრებული კომისიის მიერ.

ახალი დებულება.

შემუშავებულია ახალი დებულების პროექტი სოც. უზრ. სახ. კომის. შესახებ და წარდგენილია დასამტკიცებლად კომისართა საბჭოში. პროექტი განხილულია და დამტკიცებული იუსტიციის კომისარიატთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

ახალი დებულების მიხედვით სახალხო კომისარიატი სოციალური უზრუნველყოფის საქმის საერთო ხელმძღვანელი ორგანოა რესპუბლიკაში. პენსიის, დახმარება პენსიის, დახმარების და სოციალურ უზრუნველყოფის სხვა საქმეები გადაეცემა აღმასკომებს. სახელმწიფო და რევოლუციის დამსახურებულ მოღვაწეთათვის გაძლიერებული პენსიის გაცემის უფლებას იტოვებს თვით კომ. სარიატი.

სახალხო კომისარიატი შესდგება სამი განყოფილებისგან—საერთო ადმინისტრატიული, საფინანსო-სამეურნეო და საინსტრუქტორო საორგანიზაციო განყოფილებებიდან. აგრეთვე არსებობს სამი რესპუბლიკანური ურთიერთ დამხმარე ორგანო: საურთიერთო დახმარების გლეხთა ცენტრალური კომიტეტი და სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული გაერთიანება. სახ კომის. ამ სქემას უნდა მიემატოს გაძლიერებულ პენსიების დამნიშვნელ საუწყებათაშორისო კომისია.

საურთიერთო წითელარმიელთა დახმარე კომიტეტი.

საქ. ცენტ. აღმასკომმა მიიღო სოც. უზრ. სახ კომის წინადადება ცაკთან დაარსდეს საურთიერთო დახმარე წითელარმიელების და ინვალიდების დამხმარე კომიტეტის მოწყობის შესახებ.

ინვალიდების პატრონაჟით უზრუნველყოფა

დადგენილი იქნა ინვალიდების პატრონაჟული მიმაგრება ამა თუ იმ დაწესებულება წარმოებაზე და პროფორგანოზე. ამ მიზნით გამოცემულ იქნა საქ. ცაკის თავმჯდომარის და სოც. უზრ. სახ-კომის მოწოდება. პროტეჟები ესპერიოდება 800 ოდე ინვალიდს, ზოგიერთმა დაწესებულებამ კიდეც აიყვანა თავის ხარჯზე რამდენიმე ინვალიდი; მაგ. სახელმწიფო ქაღალდის ექსპედიციის მეზამისამართო ბეზადამოუწყვეტელ პროტეჟით უზრუნველყოფ 8 ინვალიდი. ასევე მოიქცა ცეკავშირი, საქ. სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო და სხვა.

საბჭოთა სასამართლოში

გაიძვერა ვაჭრუკანას გასამართლება

28 მაის შრომის სასამართლომ გაარჩია ვაჭარ ჩინგიშვილის საქმე. მას ბრალდება შრომის ბირჟის გვერდის ავლით მუშების ექსპლოატაცია. მუშები მიწვეული სავაჭროში ვითომ და როგორც „ამხანაგები“. შრომის ინსპექტორის სიტყვით ასეთი ხერხი მეტად გავრცელებული ყოფილა ჩარჩ სპეკულიანტების შორის სასამართლომ მიიღო მხედველობაში ეს გარემოება და საქმეში წარმოდგენილ საბუთების მიხედვით დაადგინა: ბრალდებული ჩინგიშვილი დაჯარიმებული იქნას 80 მ. ნ. შრომის კანონების დარღვევის გამო.

„ჩეკისტები“

ა. წ. 28 მაისს აღმ. საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—ლ ნასარიძე, მსაჯულნი ი. კახაძე და გ. კოლიაშვილი, პროკურორის თანაშემწე ხარაბაძე და მდივანი ჩეჩეჩაძე მოისმინა და გაარჩია ახალქალაქის კომკავშირის ორი ყოფილი წევრის ნიკა ალექსანდროვის და პავლე მარტიროსიანცის საქმე, რომელთაც ბრალად ედება ს. ს. კ—ის 16, 94 და 200 მუხლებში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება. პირველი ბრალდებული 17 წლის მეთუნექე—მუშაა, მეორე—უმუშევარი მ. ტიპოგრაფისტი 20 წლისა.

ა. წ 29 თებერვალს ორივე ბრალდებული გამოცხადებულან მოქალაქე ჩ. ხმახაიანცის ბინაზე (არსენალის ქ. № 14) „ჩეკისტების“ სახელით, გაჩხრიკეს ბინა ვითომდა თამბაქოს საქ. რეალიზაციის მანქანის ძებნის მიზნით და ვერ ნახეს რა მანქანა, ჩაყეს ჯიბეში წაგვარების მაგ. რით ჩამოართვეს ჩამხაიანცს 8 თამბაქოს ლირა და 965 მილიონი მან. ბონით. დაზარალებულის განცხადებისთანავე ბრალდებულნი გამოჩერილ იქნენ კომკავშირიდან და გადაცემულნი პასუხისგებაში. სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად ცნო და თანახმად ზემოაღნიშნულ მუხლებისა მიუსაჯა ბრალდებულთ თავისუფლების აღკვეთა ორორი წლით გამასწ. სახეში, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში რომ ორივე ბრალდებულს აღნიშნული ბოროტმოქმედება ჩაუდენიათ პირველჯერ, რომ ისინი ღარიბი მუშის ოჯახის შვილებია, რომ პირველი მათგანი მცირეწლოვანია, ხოლო მეორე—უმუშევარი და მარჩენალი რამოდენიმე წევრიან ოჯახის და სხვა, ალექსანდროვს სასჯელს ვ და თანახმად ს. ს კ—ის შესაფერი მუხლებისა განსაზღვრა 6 თვით, ხოლო მარტიროსიანცს—9 თვით წინასწარი პატიმრობის ჩათვლით სასამართლოს ხარჯების მიხედ დაეკისრა ბრალდებულთ: ორ წ ლი—ალექსანდროვს და ერთი წ ლი—მარტიროსიანცს.

მუშათა ცხოვრება

სამკითხველო უყურადღებოდ

მუშათა სასახლეში, კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის დარაჯთა და მეეზოვეთა სექციის ბინის გვერდით, ამავე მუშების ადგილკომთან არსებობს სამკითხველო, რომელიც როგორც ჩანს, მეტად უყურადღებოდ მიტოვებული. იმ დროს, როცა ამ სამკითხველოში მშვენივრად არის მოწყობილი კედლის გაზეთები, მაგიდებზე სულ სხვა სურათს ვხედავთ. აქ ვერც ერთ ჟურნალს თუ გაზეთს მთელს ვერ ნახავთ, თუმცა, როგორც ჩანს, ამ გაზეთები სამკითხველოს საკმაოდ მოსდის. ან თავში, ან ბოლოში, ჟურნალს სამი ოთხი ფურცელი აკლია და რაც არის, ისიც დაცრეცილი და ძველი. ამასთანავე ყოველდღიურად არ არის გაზეთების ყველა ახალი ნომრები, თუმცა იშვიათად ახალს და ხშირად ძველს. ყოველ ქართულ, თუ რუსულს და სომხურ გაზეთს ხედავთ აქ. სამკითხველოთი როგორც ჩანს სარგებლობენ მეეზოვეები და დარაჯები, მაგრამ უთუოდ პაპიროსის ქაღალდის სიძვირის გამო გაზეთებს ხმარობენ მის მაგივრად. დავიწყებულია სამკითხველოს ასეთი მიტოვება.

ანდ. მაშ.

—

ჩვენი მუშკორები გაზეთებს ავრცელებენ.

„კომუნისტის“ გავრცელების საქმე და მასი მუშებში და სოფლის გლეხებში გავრცელების საქმე პირველად ყოვლისა ჩვენ მუშკორებს გვევალება. ასეთ მისაბაძ მაგალითს გვაჩვენებს, მაგალითად, ჩვენი მუშკორები.

ამხანაგმა უზნაძემ, გაზ. „კომუნისტის“ მუშკორმა ითავა გაზეთ „კომუნისტი“ს რკინის გზის მუშებში გავრცელება და ამ მიზნით მან 47-მდე ხელის მომწერი მუშები შეკრიბა, რომლებიც გაზეთს იწერენ.

მუშკორმა ამხ. სიო ხოშითელმა გამოიწერა გაზეთი „კომუნისტი“ 8 ცალი თავის სოფელს, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ ჩვენ, გაზეთის მუშკორები, მაგალითს უნდა ვიჩვენებდეთ სხვებს, რომ სოფლის მშრომელთა მასსაც მივაწოდოთ ის ცოცხალი ამბები, რომლის მოწამენიც ჩვენა ვართ ყოველდღიური მუშაობით, რომ სოფლის გლეხობა ამით დავაახლოვოთ და გავაგებინოთ მასაც, თუ როგორ ზრუნავს მუშათა კლასი და მისი ხელმძღვანელები ყველა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვებით.

მეც ჩემის მხრით სამი თვით ვუწერ გაზ. „კომუნისტს“ და „მუშას“ გამოჩინებულის თემის აღმასკომს—გლეხებისათვის.

იმედია, სხვა მუშკორები უფრო მეტს გააკეთებენ ამ მიმართულებით

მუშკორი ფ. ჯ.

—

მუშათა ქრონიკა.

— **ჭურჭლის მომსახურე მეგობრთათა.** არსენალის მუშკორებმა ადგილობრივ ქარხანაში დაარსეს მუშკორთა ბიურო. ბიუროს მიზანია საერთოდ ქარხნის მუშათა შორის კულტურული შემთხვევის, გაზეთების გამოსაწერად კამპანიის ჩატარება და სხვ. კერძოდ კი თვით მუშკორების შეკავშირება, მათი გათვითცნობიერება და მათი ღირსების სათანადო სიმაღლეზე დაყენება.

— **მუშებმა მისცეს ლენინის ნაწილები.** თბილისის მთავარი სახელოსნოს მუშების კულტკომისიამ უკვე შეიძინა მუშების მიერ გამოწერილი ამხ. ლენინის ნაწერების 106 კომპლექტი.

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ლენინის სახელობის კლუბის მე 6 უბნის სალიანდაგო ნაწილის სცენის მოყვარეების მიერ ამხ. უმბრიევის ხელმძღვანელობით ს. ქარელში ამხ. ლენინის სახელობის ადგილობრივ კლუბში წარმოდგენილი იქნება—ამხ. გიგო ხუროშვილის 3 მოქ დრამა—„მუშა მგოსანი“ და 1 მოქ კომედია „ჰკეთ სა მქარი“ ა. ცაგარლისა. დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ბოლოს გაიმართება ცეკვა თამაში.

მ ლოტფილი.

— **მუშებში შეჯერება მატულობს.** თბილისის საქონლის სადგურის მუშებმა აირჩიეს 8 კაცისაგან შემდგარი კულტ-კომისია და დაავალეს მას კულტ-მუშაობის გაჩაღება.

მათივე ადგილკომმა შეამდგომლობა აღძრა აღმასრულებელ სტრაციის წინაშე, რათა მუშებს დაურიგონ სპეც ტანსაცმელები.

— **მუშაობა აქიდ გაჩაღდა.** საბურთალოს, ამხ. ტროცკის სახელობის მუშათა კლუბში გაჩაღდა კულტმუშაობა. 25 მაისს აქ გაიმართა საღამო-წარმოდგენა, რომელიც კარგად ჩატარდა.

— **დახმარება უმუშევრებს.** პირველიდან 5 ივნისამდე მაისის თვის დახმარებას მიიღებენ მელითონეთა კავშირის უმუშევარი წევრები.

— **უმუშევართა ხამუშაოზე გაგზავნა.** მრეწველთა კავშირმა სამუშაოზე გაგზავნა თავისი უმუშევარი წევრები, რკინის გზის სამმართველოს ... ლისთან არსებულ ...ში 35 ... ქარხნებში 60 ...

— **მუშებს სპეციალური ტანისამოსი.** თამბაქოს ფაბრიკის „პროლეტარი“-ს მუშებმა, ამას წინად როგორც კულტურული, ისე მატერიალური შეფობა მიიღეს 81 მთლიან შრომის სკოლაზე, სადაც 400 ღარიბი მუშების შვილები სწავლობენ. შეფი მუშები ყოველ ზომებს იღებენ დაეხმარონ მოწაფეებს.

— **კლუბის მოსაწყობად.** არსენალის საქარხნო საფაბრიკო კომიტეტს და ახალგაზრდობის კომკავშირელს განზრახული აქვთ მოაწყონ კლუბი. კლუბის მოსაწყობად საქ. პროფსაბჭომ თავის კულტფონდიდან გაიღო 100 მანეთი.

— **კავშირის წევრთა პერერეგისტრაცია.** ივნისში მოხდება რკინისგზელთა კავშირის წევრთა პერერეგისტრაცია, რისთვისაც უკვე გადადებულია 3,500 მანეთი

— **ნაციონალიზაცია რკინის გზაზე.** რკინის გზებზე ნაციონალიზაციის ჩამტარებელ კომისიის ცნობის თანახმად, ნაციონალიზაციის გამო საქართველოდან სხვა რესპუბლიკებში გადაყვანილ იქნება 246 კაცი, სომხეთიდან 83 და აზერბაიჯანიდან 76, სულ 461 ნაწილი უკვე გადაყვანილია: საქართველოდან 76, სომხეთიდან 27 და აზერბაიჯანიდან 48, სულ კი 151 კაცი.

— **დამატებითი ჯამაგირი.** რკინის გზის იმ მოსამსახურეებს, რომელნიც ყოველდღიურად განსაზღვრულ საათებს არ მუშაობენ, ნება დაერთოთ ძირითადი სატარიფო ცხრილის განკვეთის ზევით დამატებით მიიღონ 20—40 პროცენტამდე

ქრონიკა

■ **აწვეულ დება საერთო კრება.** თბილისის დამხლოვე სადგურთან არსებულ შრომის ინვალიდთა ურთიერთშორის დამხმარე საზოგადოების გამგეობა ატყობინებს, რომ სამშაბათს, 3 ივნისს დილის 10 საათზე პლეხანოვის ქუჩაზე, სახელოსნო კლუბში დანიშნულია ინვალიდთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

☰ **საბჭოთა ხალხური ...** გარეშე ვაჭრობის კომისარიატს განზრახვა აქვს ხონში მოაწყოს საჩვენებელ-საცდელი საბრეწეო სადგური.

☰ **სახლები რკინისგზელებისათვის.** ცენტრო-აღმშენებლობამ გადაწყვიტა შემოდგომამდე რკინისგზელებისათვის აგოს 17 მუშათა სახლი.

☰ **ფონ ტრანსპორტის მუშათა ...** დღეს 1 ივნისს, საღამოს 8 ღამეზე გაიმართება ლადო-სუნ ნოვა, უშუალოდ მეგობართა დასახმარებლად. დასაწყისი დილის 11 საათზე

■ **მუშათა და გლეხთა ინსპ.** ... საქართ ცენტრ. აღმ. სრ. კომიტეტის დადგენილებით მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისრად დაინიშნა ამხ. ...

☰ **ადგილობრივ აღმასკომებთან** ხარჯთაღრიცხვა. საქ. სახ. კომისართა საბჭომ საქართ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ერთეულების და სამაზრო აღმასკომების 1923—24 წ. ხარჯთაღრიცხვა (დარდი ზემო სვანეთისა) განსაზღვრა 4,537,358 მ., და 14 კაპ, ამ თანხიდან ხაზინის დოტაცია განისაზღვრება 809,882 მან და 18 კ.

☰ **ბაზრობა მეჯვრისხევში.** 14 ივნისს ს. მეჯვრისხევში (გორის მაზრა) იხსნება ბაზრობა (იარმუკა), რომელიც გასტანს 10 დღეს. ამ ბაზრობაში მონაწილეობას იღებს გორის მაზრის მეხილეთა საზოგადოებების კავშირი „წითელი ქართლი“.

■ **ტრესტების შესახებ.** საქ სახ. კომისართა საბჭომ დებულება ტრესტების შესახებ საბოლოო რედაქციისათვის გადასცა კომისიას ამხ ლომინაძის, ს. ჯუღელის და ა. ...შვილის შემადგენლობით.

■ **ჩითის საკრედიტო.** საქ სახ. კომ. საბჭომ მიზნად მიიღო. კომისარიატს ჩაის აგრეგატის კაპიტალის ჩასატარებლად დაადგინა მიეცეს სესხის სახით 100,000 მან.

■ **სახალხო სამეურნეო ბანკი.** საქართ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის იპოთეკური განყოფილება საქ. სახ. კომისართა საბჭომ გადასცა თბილისის კომუნალურ ბანკს.

■ **საავადმყოფო გადასახადი.** საქ სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, ბორჯომში სასეზონო ადგილობრივი გადასახადის ნახევარი გადაეცემა ბორჯომის აღმასკომს.

■ **მატარებლის ახალი ცხრილი** ა.-გ. რკინის გზებზე დღიდან, 1 ივნისიდან ა. | კ რკინის გზებზე შემოღებულია მატარებელთა მიმოსვლის ახალი ცხრილი, რომელიც არჩება ძალაში ზაფხულის განმავლობაში.

■ **ქალაქის წარმოების მოსამსახურენი.** ქ. აღმასკომის დადგენილებით, აღმასკომის წარმოების მოსამსახურენი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან წარმოებებთან და მუშაობენ 8 საათს დღეში, გათანაბრებული იქნენ ჯამაგირების მხრივ წარმოების მუშებთან.

☰ **დარაზმების გადაცემა.** მანგლისში არსებული ყველა დარაზმები საექსპლოატაციოთ გადაეცა ადგილობრივ აღმასკომს.

☰ **მანგლისის ძიების მოსაწყობად.** ქ აღმასკომმა დაადგინა მანგლისის აგარაკების შემოსავლიდან 20 პროც გადაეცეს ადგილობრივ აღმასკომს აგარაკებას კეთილ-მოწყობის მიზნით.

☰ **ხაზინის სახლებიდან 15 წ. მახლობლად ბავშვების გამოწერა.** ქ. აღმასკომმა დაადგინა საბავშვო სახლებიდან გამოწერილ იქნან 15 წ. მიღწეულ გადაცილებული ბავშვები და ჩარიცხული საფაბრიკო-საქარხნო შეგირდთა სკოლაში.

☰ **ცალკე მილიციები.** შინაგან საქ. კომისარიატთან დაარსდა ცალკე მილიციები საქალაქო და სამთამადნო რაიონების დასაცავად.

☰ **საავადმყოფოების გახსნა სართო.** ქ. აღმასკომის დადგენილებით მანგლისის საავადმყოფოების განაპირათვისებლად მოქ. ბაქურის ნაცვლად ჩამოერთვა ორი აგარაკი.

■ **სახალხო სამართლის მოლოდინ.** შინაგან საქ კომისარიატმა იუსტიციის კომისარიატთან შეთანხმებით გამოიმუშავა სახალხო სამართლის დებულების ინსტრუქცია სისხლის სამართლის მილიციისათვის.

■ **აგარაკების შემოსავალი აგარაკებზე.** ... მანდილოსნებმა დაიწყეს საბჭოთა ... მიმოსვლა ტფილისსა და მიი მაზრის აგარაკებს შორის.

☰ **საინსტრუქტორო კომისია.** შინაგან საქ კომისარიატთან შედგა საინსტრუქტორო კომისია, რომელიც მოიარებს მაზრებში ადგილობრივ დაწესებულებების დათვალიერებას.

■ **კოოპერატიული უცნობ...** სრულ რუსეთის პროფკავშირთა საბჭომ წინადადებით მიმართა ა | კ კოოპერატიულ ორგანიზაციების ბიუროს, რომ მათ მიიღონ ზომები კოოპერაციის თანამშრომელთა შორის კოოპერატიული უკუდინარობის მოსასპობათ.

■ **რძის ნაწარმოებები.** მუშათა კოოპერატივების რძის ნაწარმოების ფერმაზე, რომელიც ბორჯომის მაზრაშია, გასულ წელს დამზადდა 800 ფ. შვეიცარიული და 1000 ფ. თუშური ყველი.

■ **კოჯრის აგარაკებზე.** კოჯორში საზაფხულო სააგარაკო სეზონი დაიწყება 15 ივნისიდან. სეზონის განმავლობაში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

▌▌ **ფოსტ-ტელეგრაფი.** ამ ქამად თბილისში მოწყობილია 22 ტონ-საფარჯიშო წრე, სადაც ირიცხება 1200 კაცი.

■ **გზების შეკეთება.** შინაგან საქ მეთა კომისარიატმა წინადადება მისცა ყველა მაზრის აღმასკომებს, რათა წარადგინონ ხარჯთაღრიცხვა ადგილობრივ გზების შესაკეთებლად.

■ **ტყისხათ მკურნალობა.** ჯანმრთელობის კომისარიატმა დაარსა კომისია სავადმყოფოებში იმ ავადმყოფების შესამოწმებლად, რომელთაც სჭირდებათ ტყლაბით მკურნალობა.

■ **ქალაქების განაშენიანებლათ** შინაგან საქმეთა კომისარიატმა წინადადება მისცა მაზრის აღმასკომებს დაჩქარებით წარმოადგინონ ცნობები, იმის შესახებ, თუ 1923 წ განმავლობაში რა გააკეთეს ქალაქების გასამშვენიერებლად.

■ **მუშათა ახალშენი.** ცენტრამშენებლობას კომუნალურმა ბანკმა მუშათა ახალშენების გასაშენებლად გადასცა გრძელვადიანი სესხი.

■ **ტელეფონების ხადგურების შეკეთება.** ა | კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ გასული წლის განმავლობაში შეაკეთა ა | კ. ქალაქების ტელეფონების ყველა სადგურები.

ახ ლ ი წიგნები

წიგნი დასტამბა და ამ დღეებში გამოვა მოსე გოგიბერიძის წიგნი: „რელატივობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“.

■ **ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება“** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჩვენი მეცნიერების“ უკანასკნელი წიგნი № 11—12 ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: დ გეწლეგანი—იმანუელ კანტი, ვ თოფურია—გეოგრაფიული სახელთა სუფიქსისათვის ქართულში, პროფ ა. შანიძე—ლოცვებით თვლა და ათობით წერა ქართულში, პრ. ი. ჯავახიშვილი—ქართველი ერის ისტორია, პრ. გ. ახვლედიანი „ქეჯერი ენის“ ნიმუში ოსურში, ს. ყაუხჩიშვილი—კორინთის ბერძნული საწერების ქართული მინაწერების და თარიღებისათვის, ი. გ ნათაძე—თბილისის სასწყლე წყლების ქიმიური ანალიზი, ვ. კოტეტიშვილი—მეთოდის საკითხი სოციოლოგიაში, პრ. ანდღიმოვი—ტვინის ორგანულად და ფსიქიურად დაზიანების შესახებ, დოც. ვ ჟღენტი—გალიოზების შეპარებითი პათოლოგია, ბიბლიოგრაფია.

● **შრომის ბირჟა.** 30 მაისს შრ. ბირჟაზე გამოცხადდა—100 უმუშ., ახლად ჩაეწერა—74, მოთხოვნილება იყო—140, სამუშაოზე გაიგზავნა 64.

შემთხვევები

შ ე პ ყ რ ო ბ ა. 28 მაისს შეიპყრეს გიორგი ფილიპოვი ძე ნესტოროვი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები.

— ქ უ რ დ ი ა ვ ა დ მ ყ ო ფ ე ბ ი. 28 მაისს, დღისით, პლეხანოვის ქ № 17 ექიმ იაკობ დარბინიანცთან მისულან რაოდენ „ავადმყოფი“ თავის გასასინჯათ ილიკო ქლებტი და მიხეილ ალიბეგოვი, რომელთაც გამოსვლისას მოუპარავთ სხვადასხვა ნ ვგონი 150 მ ნ ფულით „ავადმყოფები“ შეიპყრეს ნაქურდალი ნივთებით იმავე დღეს.

— ქ უ რ დ ო ბ ა. 29 მაისს, დილის 11 საათზე ელისაბედის ქ. № 102, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა აბესი ნერსეპაჯაგოვის ბინა, საიდანაც წაღებულია 300 მანეთის ნივთები.

ხელოვნება

ინტერნაციონალური საღამო.

ორშაბათს, 2 ივნისს სახელმწიფო აკადემიური ოპერაში გაიმართება რევოლუციური შემოქმედების დიდი ინტერნაციონალური საღამო ლიტერატურულ და მუსიკალურ განყოფილებებით. საღამო იმართება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობით ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. მონაწილეობას ღებულობენ პროლეტარული მწერლები ს ეული, ი. გედევანიშვილი, გ. ხერხეშვილი, ვ. ხმალაძე და ი. ვაშლი.

ბილეთების ფასები დაკლებულია.

ხელოვანთა სასახლეში.

ორშაბათს, 28 ივნისს ხელოვანთა სასახლეში შესდგა კოტე მესხის მოსაგონარი საღამო, მისი გარდაცვალებიდან 10 წლის თავის აღსანიშნავად. საღამო გაიმართა ხელოვნებათა კავშირის საბჭოში, რომლის თავმჯდომარე აკაკი ფ ლიაშ გახსნა სხდომა და თავის შესავალ სიტყვაში დაახასიათა გარდაცვლილი. როგორც ერთი თვალსაჩინო ძალა ქართულ სცენისა.

თავმჯდომარეს შემდეგ სიტყვა ეძლევა რეჟისორ კ. ანდრონიკაშვილს. შემდეგ დამს. მსახიობმა ვასო აბაშიძემ და ნინო ჩხეიძე როგორც კოტეს თანამოღვაწე წინი, უზიარებენ საზოგადოებას მრავალ საგულისხმო ეპიზოდებს მისი წარსულიდან ვ. აბაშიძემ აღნიშნა რა დიდი ღვაწლი კ მესხისა ქუთაისის წინაშე, წინადადება შემოიტანა, რათა კოტეს სურათი მოთავსებულ იქნას ქუთაისის თეატრში, რისთვისაც ეთხოვოს მსახიობთა კავშირს აღძრას ეს საკითხი, სადაც ჯერ არს და სისრულეში მოიყვანოს. დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად დაადასტურა ეს წინადადება. დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით. დაესწრნენ: მსახიობნი, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი და ხელოვნების მოტრფიალენი და ახალგაზრდობა.

დამსწრე.

ეთნოგრაფიული კონცერტი.

სამშაბათს, 3 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში სრულიად საქართველოს ხელოვანთა მთავარი კომიტეტის მეთაურობით და ქართველი ხალხური სიმღერა-გალობის ჩამწერ კომისიის თავმჯდომარის კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით გაიმართება დიდი ქართული ეთნოგრაფიული საჩვენებელ-სანიმუშო სალამო-კონცერტი.

პირველი განყოფილება. სრულიად საქართველოს ხელოვანთა მთავარი კომიტეტის მთელი შემადგენლობის და ქართული სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სამუსიკო დაწესებულებათა წარმომადგენლების სხდომა ქართული მუსიკის შესახებ. მოხსენებას წაიკითხავს კ. ფოცხვერაშვილი, სიტყვებს წარმოსთქვამენ: კ. მაყაშვილი, მ ბ ლ ანჩივაძე, დ. არაყიშვილი, ი. კარგარეთელი, ხელოვანთა კომიტეტის წევრები და სამეცნიერო საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლები. სხდომა გახსნება და დამთავრდება სამი გუნდის: ქართულ-კახურის, გურულის და აკადემიურის შეერთებული ძველი იამბიკო მუშაობით.

მეორე განყოფილება. ქართული სიმღერა-გალობის ეთნოგრაფია. ხალხური მუსიკობა ქართლ კახური გუნდები, თარი და ფანდური, გურული ხორი, სტვირი და ჩონგური. შესრულებული იქნება: ძველი ქართული სიმღერა ჰიმ საგალობელნი, იამბიკოები, მუხასიბები, ალილო, ჰარი, ძლისპირნი, წართქმანი, ლილეო, ვარ ჯ შენა და სხვანი.

მესამე განყოფილება. ქართული მუსიკის რიტმი, მელოდია, ჰარმონია და კონტრაპუნქტი, ნამდვილი ქართული ხალხური სამხმოვანების და ევროპულ პოლიფონიური ხმაკაზმული მუსიკის შეფარდება, თვითოეული მათგანის რიტმის, მელოდიის, ჰარმონია კონტრაპუნქტის, არქიტექტონიკის, დინამიურობის და ესთეტიური მეტყველების დანიშნულებით. მონაწილეობენ: ამავე სალამოზე საქართველოდან საგანგებოდ გამოწვეული ხალხური მომღერალთა გუნდი, ქართლ-კახური ხორობი: მ. თარხნიშვილის ა. მაისურაძისა, მეთარე, მეჩონგურე, მესტვირე და სხ. რიხმოვანებით მხატვრულად დამუშავებულ ქართულ ხალხურ სიმღერას შეასრულებს რესპუბლიკის აკადემიური გუნდი. დასასრულ გაიმართება გურული ჯგუფური ცეკვა ფერხული. სამუსიკო ნაწილის გამგე დ ლოტბარია კ ფოცხვერაშვილი დასაწყისი საღამოს ცხრის ნახევარზე. კონცერტი გამეორდება ივნისის 4 პლეხანოვის კლუბში და ივნისის 5 სახალხო სახლში.

—

■ **პროზიდიუმი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის** მოითხოვს შემდეგ ამხანაგებს: გედევანიშვილს, ს. ეულს, ი. ვაკელს, ნ. ზოშლეთელს, 3 სამსონ ძეს გ. ხერხეშვილს, შანტოხელს, ნ. ვაშლეულელს, შუბლაძეს, ხიდისთაველს, გამოცხადდნენ კვირას, საღამოს 6 საათზე ოპერის თეატრში.

მწ. კ გამის მდივანი.

—

■ **ბორჯომის თეატრის ასაგებად.** ა.-კ. ცენტრ. აღმ. სრ. კომიტეტმა ბორჯომის თეატრის ასაშენებლად გაიღო 800 მან.

☰ **წარმოდგენა მუშათა თეატრებში.** ბაქოს მუშათა თეატრი ნაძალადევის და ავლაბრის მუშათა თეატრებში გამართავს თავის წარმოდგენებს დაკლებულ ფასებში, ხოლო მუშებისათვის უფასოდ.

■ **ჟურნალი „კავკასიონის“ სამომვლელო ფონდის გასაძლიერებლად.** დღეს, ახალ კლუბში, გაიმართება დიდი სალამო-საცეკვაო ქურ. „კავკასიონის“ სამომვლელო ფონდის გასაძლიერებლად.

■ **ნაძალადევის თეატრი.** დღეს, ნაძალადევის თეატრში გაიმართება 3 ფრანკლიშვილის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება ან. ერისთავის ხომ. ტარიას „მოლიპულ გზაზე“.

■ **„ხელოვნების დროშა“.** გამოვიდა სრ. საქ ხელოვნების მუშაკთა კავშირის ორკვირეული ჟურნალი „ხელოვნების დროშა“ № 1.

■ **ცენტრალურ პარტიულ კლუბში.** 2 ივნისს, საღამოს 8 ნახევარ საათზე გაიმართება დიდი კონცერტი. შესვლა თავისუფალია პარტიის წევრთა და მათ ოჯახებისათვის.

■ **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და გამოვიდა ამ დღეებში ნ. ინასარიძის ლექსის წიგნი „ქარი“.

■ **პროლეტკულტში.** ქართული ლიტერატურული სტუდია ახლო მომავალში გამოუშვებს კრებულს „საღარაჯოზე“.

■ **სახალხო სახლში.** 3 რეკავს, 6 ივნისს გაიმართება დიდი კონცერტი ამ. კავასიძეების და სხვათა მონაწილეობით. ფასები ხელმისაწვდომი. დასაწყისი სრულ 8 ნახევარ საათზე.

პროვინციაში

შრომის სკოლა ასეთი უნდა

ქ ხონში პირველი შრომის სკოლა სამაგალითოა მთელს რაიონში. თუ წინად, ნიკოლოზის დროს (და აგრეთვე მენშევიკების დროს) მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის არ იყო მეგობრული კავშირი და მოწაფეს მასწავლებელი „მგლად“ ეჩვენებოდა, დღეს ასეთ მხედველობა არაფერია.

მოწაფეთა და მასწავლებელთა შორის სრული მეგობრული და ამხანაგური კავშირია დამყარებული. აქვე არსებობს პანსიონი, სადაც კვებავენ ორასამდე მოწაფეები გაცხოველებული მეცადინეობა ამხ. ილია ფ ლიაშის მეთაურობით. არის აგრეთვე დაარსებული ლენინის კუთხე, სადაც მოწაფეობა მიდის ყოველ დღე და მისდევს წაკითხვით. არის შეკოლებული თვითმმართველობა, რომელმაც მოწაფეობა უფრო დაახლოვა საქმიანობაში გამარჯვებას უფრო აძლიერებს (მასწავლებლები) წესრიგის დაცვაში და ყოველივე საქმეში ამხ. ილია ფიქლაშის დახმარებით მოქმედებს გახ.—4.

მენშევიკების განცხადება

სად. ბაკურიანი.

18 მაისს შესდგა ბაკურიანის რკინის გზის ხაზის მუშა მოსამსახურეთა, ყოფილი მენშევიკების კრება.

ყოფილი მენშევიკები სათითაოდ აცხადებენ, რომ მათ უკვე დიდი ხანია, მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ მენშევიკურმა პარტიამ უღალატა მუშა-ხალხის ინტერესებს და ბანდიტიზმის გზას დაადგა, გასწყვიტეს კავშირი მასთან. ახლა კი მათ სურთ საჯაროთ, ყველას გასაგონათ განაცხადონ, რომ არავითარი არა აქვთ საერთო ამ პარტიასთან, რომ ისინი სავსებით დგებიან კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

ილაპარაკა სათითაოთ თითეულმა ყოფ. მენშევიკმა, რის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ ბაკურიანის რკინის გზის და სადგურის მუშა მოსამსახურენი, ყოფილი მენშევიკები დავრწმუნდით რა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ოთხი წლის დაუღალავ მუშაობაში მუშათა და გლეხთა სასარგებლოთ, საკუთარის შეგნებით ვსტოვებთ ძველ გზას და ვდგებით საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე. მოუწოდებთ დანარჩენ ამხანაგებსაც, სანამ გვიან არ არის შეიგნონ სწორი გზა და გადმოვიდნენ საბჭოთა პლატფორმაზედ, რადგან კომუნისტური პარტია, რომელიც მშრომელთა სახელმწიფოს უდგას სათავეში, არის მუშათა ინტერესების ერთად ერთი დამცველი.

გაუმარჯოს მუშათა სწორ გზას!

გაუმარჯოს მე 3-ე ინტერნაციონალს!

	პარტ. წევ.
ნიკოლოზ ალ. ოსაშვილი	1917 წ.
ივანე ტარიელ ბირკაძე	1905 „
ვასილ ალექ. ოსაშვილი	1918 „
მაკარე ისაკ მ...ლაშვილი	1918 „
ირაკლი ათანას. ზაზბაძე	1903 „
შალვა რეჯების ძე ბარამიძე	1918 „
გიორგი იოლ. ფურცელიძე	1905 „
რაჟდენ ანდრიას ძე მგელაძე	1891 „
თედორე გიორგის. ტაბატაძე	1917 „

სად. წალვირი.

1924 წ. 12 მაისს, სადგურ წალვერში შესდგა რკინის გზის ყველა დარგის მუშა მოსამსახურეების, ყოფილი მენშევიკების კრება გრ. ტაბატაძის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრენ ბორჯომის პარტკომის ინსტრუქტორი ამხ. მურჯიკნელი და ვარლუკაშვილი. კრებამ მოისმინა სხვადასხვა ამხანაგების მოხსენებები მენშევიკური პარტიის დაშლის შესახებ და ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვღებთ რა მხედველობაში, რომ მენშევიკურმა პარტიამ უღალატა მშრომელთა ინტერესებს და ბურჟუაზიისა და მსოფლიო რეაქციის ერთგული მოკავშირე შეიქნა და ამასთან ერთად დავრწმუნდით რა იმაში, რომ ერთად ერთი პარტია, რომელიც ნამდვილათ იცავს მშრომელთა ინტერესებს, არის კომუნისტური პარტია, რომელმაც მშრომელი ხალხი დაიცვა პუანკარესა და სხვა უცხოელ ყაჩაღების თავდასხმისაგან, ჩვენ გულწრფელათ და ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ სავსებით ვურიგდებით ყოფილი მენშევიკების ყრილობის დადგენილებებს, ვდგებით კომინტერნისა და საბჭოთა პლატფორმაზე და ფიცს ვდებთ, რომ ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს კომპარტიის მუშაობას.

ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრები:

	პარტ. წევ.
კრების თავმჯ. გ. ტაბატაძე	1920 წ.
მდივანი გრ. კილენჯერიძე	1919 წ.
ივანე ხიჩაძე	1906 წ.
გიორგი ხარებაშვილი	1920 წ.
მიხა ტაბატაძე	1920 წ.
იოსებ პატარიძე	1920 წ.
ზაქარია ტაბატაძე	1920 წ.
ივანე ნ...შვილი	1920 წ.
ნოე კუპულია	1901 წ.
ვასილ ხიჩაძე	1920 წ.

...პარტკომი და 2 „მუშა და გლეხი“, რომლის კითხვასაც დიდ ხალისით ეტანება მოწაფეობა.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ სკოლის მასწავლებლობა და მოწაფეობა ამართლებს ჩვენი უდიდესი მასწავლებლის ლენინის სიტყვებს, ჩვენ გვაქვს შეგნებული, რომ არ უნდა ვიკეტებოდეთ მარტო ჩვენი სკოლის კედლებში, და ჩვენი მოღვაწეობის არეს არ ვფარგლავდეთ მხოლოდ წიგნების კითხვით, არამედ ჩვენს სწავლას ვურთავთ ფიზიკურადაც გლეხების შრომას. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ შეკავშირებით და გაერთიანებით გავიმარჯვებთ ბრძოლაში. ამას მოწმობს ის, რომ თითქმის ყოველ დღე რიგრიგობით ჩვენ მოწაფეობა ქალი თუ ვაჟი, გავდივართ თოხებით ხელში ღარიბ ამხანაგების და გლეხების დასახმარებლად და შეერთებული ძალებით ვამუშავებთ მათ ყანებს. ეს კოლექტიური მუშაობა დიდ აღფრთოვანებას იწვევს ხალხში.

მოწაფე.

სოფ. ტყვიავი (გორის მაზრა)

კარგა ხანია, რაც გორის მაზრაშიც ჩატარდა ახალი რაიონების დაარსება. სულ არის ათი რაიონი. ტყვიავის თემი მიეწერა მეჯვრისხევის რაიონს, ამას გამო შეიქნა ამ თემისათვის დიდი უხერხულობა. სოფ. ტყვიავი ცენტრია 25 სოფლისა, ეს სოფლები ტყვიავს აკრავს ირგვლივ. მოსახლეობა მრავალრიცხოვანია. ეს ისეთი სოფლები არ არიან, როგორც კავთისხევის რაიონში, სადაც არის 5—7 კომლი. ტყვიავის თემის ოცდა ხუთი სოფლის მოსახლეობის რიცხვი არ ჩამოუვარდება დღეს არსებულ რამდენიმე რაიონების მოსახლეობის რიცხვს. აქამდე ტყვიავში იყო თემის აღმასკომი, სამკურნალო, მილიცია და სხვა, ახლა კი აღარაფერია. ეს იმ დროს, როცა ამ სოფლის და ახლო მახლო სოფლების სასოფლო მეურნეობა, კერძოდ მეხილეობას პირველი ადგილი უჭირავს რაიონში, მეჯვრისხევიდან თვით ტყვიავი დაშორებულია 15 ვერსის მანძილით, ხოლო სოფლები, მეღვრეკისი, ერგნეთი, დიცი, აჩაბეთი, ბროწლეთი, ტირძნისი, თირგვანი, მერეთი, ზარდიანთ კარი, კარბი, კოშკა და სხვა 20—25 ვერსით. მართალია, ტირძნისში და ტყვიავში არიან საბჭოს თავმჯდომარენი, მაგრამ მათი ფუნქციები ძალიან განსაზღვრულია. აქაურ მცხოვრებლებს უბრალო საღამო საკითხების და საქმეების გადასაწყვეტად უხდებათ რაიონში წასვლა, რაც მეტად ძნელია.

ამ გარემოებიდან გამოსავალი არის. ახლა ტყვიავში არის საბჭოს თავმჯდომარე ჯამაგირით, ტირძნისშიც არის საბჭოს თავმჯდომარე ჯამაგირით. ეს ორი სოფელი ერთი მეორეზე დაშორებულია ერთი ვერსით, ამ ორი სოფლის შუა ჩამოდის პატარა ლიახვი, რომელზედაც არის დიდი ხიდი: მაშასადამე; ამ ორი საბჭოს თავმჯდომარეების შეერთება შეიძლება სულ უბრალოდ; საჭირო იქნება მხოლოდ მასზე წვრილ აღმასკომისათვის, რომლის ჯამაგირს თითონ სოფლები იკისრებენ, თუ ხელისუფლებას მისი შენახვა გაუძნელდება. საჭიროა ისევ აღდგენილ იქნას ტყვიავში აღმასკომი ამაზე მივაქცევთ სათანადო ორგანოების ყურადღებას.

[illegible]

დიდი ჯიხაიში (ქუთაისის მაზრა)

სოფელი შესდგება 1600—1700 კომლისგან. მოსახლეობა მისდევს ხვნა-თესვას (სიმინდის მოყვანა), ნაწილობრივ მესაქონლეობას, ფრინველის მოშენებას, აბრეშუმის ჭიის მოყვანას და სხვ. სწავლა-განათლების და კულტურულ დაწესებულების მხრივ სოფელს უკავია პირველი ადგილი რაიონში. არსებობს ტეხნიკუმი, 7 წლ. შრომის სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც ინახავენ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები, სამედიცინო პუნქტი 2 ექიმით და ფერშალ-ბებიით ქალით, აფთიაქი, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, კოოპერატივი და სხვ.

სოფლის შუა გულში მოთავსებულია ბაზარი 100—120 სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებებით, ცენტრშივეა მოთავსებული ყოველგვარი კულტურული დაწესებულებანიც. კვირაში ერთ დღეს—ოთხშაბათს ბაზარში დანიშნულია ვაჭრობა, სადაც ახლო მახლო სოფლებიდან ხალხი იყრის თავს და მოაქვთ თავიანთი ჭირნახული გასაყიდათ. აგრეთვე ოთხშაბათობით ჩამოდიან აქ მოვაჭრე ებრაელები კულაშიდან და სხვაგნიდან და მოაქვთ მანუფაქტურა და სხ. საგნები. ბაზარში იყრის თავს მოსაზღვრე რაიონებიდანაც (სამეგრელო) დიდძალი მსხვილფეხა საქონელ-

რომელსაც დიდი ბაზარი აქვს აქ, ასე რომ ამ მხრივ დიდი-ჯიხაიში ხონს და სამტრედიას სჯობიას.

მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა, საბჭოთა აღმშენებლობამ აქ ფართოდ გაშალა ფრთები. ტეხნიკუმის აგურის შენობის (18 ოთახით) ქვედა სართული უკვე დამთავრებულია, ზედა სართულისთვის მასალა მომზადებულია და ამ წელში სრულიად დამთავრდება.

ამ წელში აშენდა საბჭოს სახლი—5 ოთახიანი აგურის შენობა. სახალხო სახლის ბალავერი ჩაყრილ იქნა წარსულ წელს, მაგრამ ტეხნიკუმის დამთავრებამდე მისი აგება შეჩერებულია. სამტრედიის კავშირის განყოფილების დახმარებით თემი აშენებს ფართოდ პარკისთვის, რომელიც დამთავრდება მარის დამლევამდე. მიდის თემში გზების გაფართოება-შესწორება, ბოგირების გაკეთება და სხვა.

ყველა აღმშენებლობითი საქმის სათავეში დგას, რა თქმა უნდა, თემის საბჭო, რომელიც დაყოფილია სექციებათ და ყველა სექციას მიჩნეული აქვს სხვადასხვა ფუნქციები. განსაკუთრებული უნარიანობა გამოიჩინა ქურდ-ბაცაცების წინააღმდეგ მებრძოლმა სექციამ, რამაც ხელი შეუწყო ქურდ ბაცაცობის ლიკვიდაციას თემში.

თემის მოსახლეობას აღმშენებლობითი მუშაობა მძიმე ტვირთად აწევა, მაგრამ დიდათ უმსუბუქებს ტვირთს მოსახლეობას ადგილობრივი ბაზრის შემოსავალი (იჯარის სახით ბაჟის აკრეფა), რომელიც მთავრობამ დაუთმო თემს აღმშენებლობითი საქმეებისთვის.

დროგამოშვებით თემში ჩამოდის სამტრედიის უბნის სახალხო მოსამართლე და ადგილობრივ არჩევს საჩივრებს. ამა წლის 16 აპრილს ჩამოვიდა სახალხო სასამართლო ამხ. ჯანჯღავას თავმჯდომარეობით და გაარჩია 15 საქმე.

საჩივრები უმეტეს ნაწილად ეხება გზაზე დავას, პირად შეურაცხყოფას და სხვა. ამხ. ჯანჯღავამ სამართლიანათ მიმართა საზოგადოებას, რომ მათ ასეთ წვრილმან რამეზე საჩივარს გვერდი აუარონ და იმერული თავმოყვარეობა დაიძლიონ. სახალხო მოსამართლის დრო გამოშვებით აქ ჩამოსვლა დიდ შეღავათს აძლევს ხალხს—მას არ სჭირდება სამტრედიაში სიარულით დროის და საშუალების დაკარგვა.

ტრიფონ ცაგარეიშვილი.

ჩვენი ფოსტა

ამხ. ნ. გელაშვილს. თანახმად სადგერბო გადასახადებზე არსებულ წესებისა, მუშა მოსამსახურე თავის სამსახურის გარეთ რომელიმე დაწესებულებაში პირადი ხასიათის განცხადების შეტანის დროს იხდის სადგერბო გადასახადის სახით 1 მანეთს, პასუხისათვის კი, რომელიც ეძლევა მას მის განცხადებაზე მოწმობის სახით—ერთ მანეთს და საკანცელარიო გადასახადს 5 კაპ.—სულ კი 2 მან. და 5 კაპ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— სამშაბათს დილის 9 საათზე თბილისში კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება საკლუბო საბჭოს მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი:

1) საწარმოო გადახრა კლუბების მუშაობაში.
2) მიმდინარე საქმეები.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: შულიძე, რინგენბერგი, ბუხნიკაშვილი, მამულაშვილი, იგნატოვი და კეკელია.

თბილისის კომიტეტის სააგ. საპროპ. განყ. გამგე ა. პუნიაკოვი.

— ორშაბათს, ივნისის 2, დღის 1 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება ს. კ. პ. თბილისის კომიტეტთან არსებულ საბინაო კომისიის სხდომა.

სავალდებულოა გამოცხადება შემდეგი ამხანაგების: აზრუმელაშვილის, არჩილ რუხაძის, ჯულელის, ბ. კიკნაძის, უნგიაძის, პირალოვის, სუხიშვილის, ვარძიელის და არმიის წარმომადგენლის.

საბინაო კომისიის თავმჯდომარე: ივანოვი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ორი დღის ვადაში:

უნანიან ოგ., ლორიაშვილი, ა. კ., მურადოვი ი. გ., ბურკალოვი კ. ს., გაბრიაძე შ. მ., ალიხანოვი ზ. ა., პრუიძე ნ., დავიდოვი გ., კონდრატიევი ი.

თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ-განმანაწილებელ განყოფილების გამგე რამანი.

— ორშაბათს, ივნისის 2, საღამოს 6 საათზე ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილება იწვევს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის შენობაში (ყ. მუშტაიდი) რკინისგზელთა ყველა დიასახლის—ქალების საერთო კრებას.

სავალდებულოა ყველა დიასახლისების და უმუშევრების გამოცხადება.

დღის წესრიგი: ამხ. გოლდბაუმის მოხსენება რუსულად ნაციონალურ საკითხზე და ქართულად ამხ. ბიბინეიშვილის მოხსენება იმავე საკითხზე.

ქალთა განყოფილების გამგე ბიბინეიშვილი.

განცხადებები

კვირას, 1 ივნისს, დილით 11 საათ. დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა სავანეში, გადახდილი იქნება

ილია ნაკაშიძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს მისი მეუღლე, შვილები, დები და ძმები.

1077 3—3

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თამარი, შვილები: ალექსანდრე, გიორგი, ნუცა და ანეტა პერტენავები, ძმა დიმიტრი პერტენავა და ცოლის ძმა თომა კოტეტაძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს 31 მაისს დილით 8 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

მელიტონ ფილიპეს-ძე პერტენავა

რომლის დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 3 ივნისს დღის 4 საათზე წმიდა ნინოს სასაფლაოზე.

ცხედრის გამოსვენება, გლდანის ქუჩა № 12-დან (დიდუბე).

1—1—199

30 მაისს 1924 წ. ქ. ველისციხეში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მაკრინე სოლომონის ასული ტარასაშვილისა

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ ნათესავთ მისი შვილები: მიხეილი, პეტრე, გერასიმე, ივანე; ქალიშვილები: მარიამი და ბარბარე; რძლები: ნინო, მარიამი, სოფიო, თამარი; სიძეები: იოსებ ლუკას ძე დავითაშვილი და ვახტანგ დავითის ძე გულიაშვილი; შვილიშვილები; გიორგი, სერგეი, ნიკოლოზი, ალექსანდრე, მიხეილი, ქეთინო და ილიკო. დაკრძალვა—კვირას, თიბათვის 1, 1924 წელს ქ. ველისციხეში.

№ 1101—1—1

ღრმად დამწუხრებულნი დედა სოფიო ნიკოლოზის ასული, ძმა კოტე ფილიპეს ძე, დები ელენე ფილიპეს ასული და სიძე იუსტინე სვანიძე, რაჟდენ ნასიძე კალანდაძეები, რძალი გრიშა ანდრიას ასული და ძმის წული შურიკო, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი, ტანჯული მის მეტად

ვახტანგ ფილიპეს-ძე შარაშიძე

გამოსვენება კვირას, 1 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარი ბინიდან (ტარიელის შესახვევი №); დაკრძალვა პეტრეს წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1—1093.

ექიმი ბ. ბ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ფილტვით დაავადმყოფებულნი. სპეციალური წამლობა—შეზნავ. 915 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. სად. ბებუთოვის ქუჩა № 23.

895—25—25

ელექტრონის და ხინინიანი

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომლებიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალოს ხელმძღვანელობს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** [illegible]

ნადზალადევი, ტურლიაძის?, [illegible] ქ. № 20. 126—25—22

იყიდება ავტომობილი „პეჟო“

მიმართეთ პირობების გასაგებად შემდეგი მისამართით: რუსთაველის პრ. № 22, ეზოში.

3—1.—6. 1187.

დავკარგე მეტრიკული მოწმობა ნიკოლოზ ქობულაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1—1097.

სახელმწიფო ოპერის თეატრი

ორშაბათს, 2 ივნისს

რევოლიუციონურ შემოქმედების

ინტერნაციონალური საღამო

1—1. № 1098.

საზაფხულო კინო „ოაზისი“

(ახალი კლუბის შენობა, სასახლის ქუჩა)

უკანასკნელი დღე

მამის მკვლელი

რეჟისორი ბეკნაზაროვი.

ოპერატორი [illegible]

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობა

1—1 5 1186

საქართველოს მონადირეთა კავშირის

წევრთა საერთო კრება

შესდგება 8 ივნისს, დილის 10 საათზე, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარული განათლების განყოფილების თეატრში.

ველიამინოვის ქუჩა № 12.

კრებაზე დასწრება შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც გატარებული არიან წიგნებში.

კავშირის კოოპერაციის სხდომა შესდგება იმავე შენობაში და იმავე დღეს.

დილის 9 ნახ. საათზე.

საქართველოს მონადირეთა კავშირის საბჭო.

1—1.—6. 1188.

დავკარგე პირადობის მოწმობა ქალაქის მილიციის სამმართველოდან მიღებული, სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი, პროფკავშირის საწევრო წიგნაკი მუშათა კოოპერატივიდან ყაზარ ზაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 5232 ჰარმან ექვთიმეს ძის სახელზე, მოცემული განათლების მუშაკთა კავშირიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1098 1-

თბილისის ქალაქის

ლომბარდი

აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ

ლომბარდის ოპერაციები სწარმოებს

ყოველდღე დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

რათა მშრომელთ საშუალება მიეცეს ისარგებლონ ლომბარდის დახმარებით,

ლომბარდი გახსნილი იქნება აგრეთვე კვირა-დღეებში

დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ორშაბათობით ლომბარდი დახურულია. კეცხოველის ქუჩა (ყოფილი ლორის - მელიქოვის) № 8, ტელეფონი 17—86.

6. 1179—2—2

ლომბარდის გამგე გ. ნ. კვირკველია.

რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის სამრეწველო ბიუროსთან არსებული

სავაჭრო ამხანაგობა

„კრაიტორგი“

თბილისის განყოფილება. სოლოლაკის ქ. № 4 ტელ. 8—71

სახელმწიფო ორგანოების, კოოპერატიულ ორგანიზაციების და კერძო პირების საყურადღებოდ

იყიდება შემდეგი პროდუქტები:

1. „ნოვოროსცემენტ“-ის ცემენტი პორტლანდის, ნოვოროსიისკის სახელმწიფო ქარხნების. ეტერნიტი (მუდმივი სახურავი)—ყველაზე უფრო კარგი ხარისხის, ცეცხლის გამძლე.
2. „იუგხიმტორგ“-ის შაბიამანი და სხვა ქიმიური პროდუქტები—ბონდიუჟის სახელმწიფო ქარხნების. პარფიუმერია: ხელის ნი საპონი, ოდეკოლონი, პუდრი, და სხვ. „ქირკოსტ“-ის (ყოფ. ბროკარი და რალლე) სახელმწიფო ქარხნების. ხამეურნეო და აფთიაქო საქონელი—ყოფ. კელერის და ფერეინის ქარხნების „ლაკი“ და საღებავები „ლაკოკრასკის“ ქარხნის (ყოფ. მამონტ სლოვეინიშკოვის და სხვ.)
3. „იუგჟირმახლო“-ს: მზისუმზირას ზეთი, ხალომახი, ოლიფა, ხაპონი ყუბანის და დონის ქარხნების.
4. „იუგსელპრომტორგი“: ფხვნილი შაქარი ყუბანის სახ. შაქრის ქარხნების ახანთი—ასანთის ტრესტის.
5. „გოსკრატეხკონტორის“: ცინკი, გოგირდის ხიმჟავე, სხვადასხვა რკინეულობა, ლურსმნები, აგურები და სხვა პროდუქტები კავკავის ქარხნის „კავცინკ“-ის.

ფასები ხელმისაწვდომია

შეიძლება კრედიტით [illegible]

5—4 6. 1132

განყოფილების გამგე [illegible]

საზოგადოების საყურადღებოდ. იბეჭდება და მოკლე ხანში დაურიგდება ხელისმომწერლებს მეცნიერული ნაკვლ

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის კ. კეკელიძისა:

ქართული ლიტერატურის ისტორია

ტომი 1. 700 გვერდიანი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა (რადგან პირველი ტომი (1000) ათასი ეგზემპლიარი მარტო გამოიცა, თუ ეს არ ეყო ხელისმომწერთ, მაშინ იგივე წიგნი ხელმეორედ გამოიცემა ჩვენ მიერ).

ტომი 2. 700 გვერდიანი ძველი ქართული საერო ლიტერატურა (XI—XVIII ს).

შესავალი. დასაწყისი საერო მწერლობისა; ფაქტორები მისი აღმოცენებისა და განვითარებისა და პერიოდები ისტორიისა. ურთიერთობა საეროსა და საეკლესიო მწერლობათა შორის. ძველი საერო მწერლობის შესწავლის მდგომარეობა.

ნაწილი პირველი. კლასიკური ხანა ძველი საერო მწერლობისა (XI—XIII-ს) თხზულებანი კლასიკური ხანისა, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მწერალნი ამ პერიოდისა, რომელთა ნაწარმოებნი ცნობილნი არ არიან.

განყოფილება 1. ეპოსი. 1. ვისრამიანი; 2. ამირან დარეჯანიანი; 3. ვეფხის ტყაოსანი; საკითხი სიუჟეტისა და ავტორის შესახებ.

ნაწილი მეორე. აღორძინების ხანა ძველი საერო მწერლობისა (XVI—XVIII ს.)

განყოფილება 1—ეპოსი 1. ეპოსი საგმირო: 1. შაჰნამეს ქართული ვერსიები და მთარგმნელები, 2. შაჰნამეს მიბაძვანი; საამიანი, ბაამიანი, ყარამანიანი, სირინოზიანი, ალექსანდრიანი, ვარშაყიანი, სილიანიანი, ალღუზიანი, დილარიანი.

2. ეპოსი რომანტიული: 1. ვეფხის ტყაოსნის დამატებანი და გაგრძელებანი; 2. ომაინიანი; 3. იოსებ ზილიხანიანი; 4. ლეილა მეჯნუნიანი; 5. ხოსროვ შირინიანი; 6. ბარამგურიანი; 7. ზარამგურიან და მიანი; 8. ბარამ გულანჯიანიანი.

3. ეპოსი საზღაპრო: 1. რუსუდანიანი; 2. მირიანი; 3. ჩარდავრიშიანი; 4. სპილენძის ქალაქიანი; 5. ყამარდიანი.

4. ეპოსი დიდაქტიკური მოთხრობები 1. ქილილა და დამანა; 2. სიბრძნე სიცრუისა; 3. ესოპეს იგავები; 4. თიმსარიანი; 5. მელიის წიგნი; 6. ბახთიარნამე; 7. ეპიგონები: ამირნასარიანი; სიბრძნენი ფილოსოფოსიანი; სწავლანი ათივარ ბრძნისანი; 8. მეფუთა სალარი; 9. ტესტამენტი.

5. ეპოსი საისტორიო. 1. წამება ქეთევან დედოფლისა; 2. შაჰნავაზიანი; 3. თეიმურაზისა და რუსთაველის შედარება; 4. დიდი მოურავიანი; 5. კათოლიკოზ—ბაქარიანი; 6. ვახტანგიანი; 7. ჭირი ქართლისა; 8. დავითიანი ბაგრატოვანთა მატიანე ლარაძისა.

განყოფილება 2.—ლირიკა. თეიმურაზ I, არჩილ მეფე, საბა სულხან ორბელიანი, ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი; თეიმურაზ II, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი; ნარგიზოვნი, ზაქარია გაბაშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, საიათნოვა, პეტრე ლარაძე.

განყოფილება მესამე—დრამა დასაწყისი ქართული თეატრისა; ნათარგმნი დრამატიული ნაწარმოებნი გიორგი ავალიშვილისა და სხვა.

წიგნები ფრიად საინტერესოა და შინაარსიანი. ხელისმომწერთათვის ეძლევა 25 პროც. ნაკლები, ვინემ ბაზარზე გასაყიდათ. წიგნები გამოვა ფრიად განსაზღვრული რაოდენობით და ამიტომ, ვისაც უნდა მისი მიღება, წინასწარ უნდა ჩაეწერნენ: მასწავლებლები სკოლის გამგეებთან და თან ლები უწყებათა ადგილკომებთან—გამომცემლობის თანამშრომელი ჩამოივლის დაწესებულებებში და სიებს ჩამოარებს. პირველად წიგნები დაურიგდება ხელისმომწერთ და, თუ გადარჩა, მერე ბაზარზე გაიყიდება.—ფულს ხელისმომწერთ გადახდებათ ნაწილ ნაწილად—თვეში არა უმეტესს 160 კაპ

I ტომი დაურიგდება 7 ივნისიდან და II აგვისტოში.

პატივისცემით გამომცემელი. 6. 1185 2—

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ [illegible]